Creating a new perspective by giving chance and experience to young specialists.

რეზიუმე

„პირითადი სამოქმედო სტრატეგია ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობა“

პროფესორი ბ.ჩახუნაშვილი
ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის თავმჯდომარე,
ა. მორჩილაძე - სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების თავმჯდომარე

პრობლემა: მედიცინის დარგში პროფესიონალ ახალგაზრდა სპეციალისტების ზრდის რეალურობა - დეფიციტი კლინიკურ დარგში, მეცნიერულ მუშაობაში და პედაგოგიურ სფეროში.

შედეგი:

ახალგაზრდა სპეციალისტთათვის რეალობისა და არსებული პრობლემების სწორი მართვით პერსპექტივა დასკვნა:

უდალოა, რომ ახალგაზრდების დაუშრეტელი ენერგიისა და გამოცდილი კადრების ხანგრძლივი, სწორი ურთიერთქმედება პერსპექტივაში კლინიკურ, მეცნიერულ და პედაგოგიურ საკადრო პრობლემებს აღმოფხვრის

SUMMARY

“MAIN STRATEGIC PLAN – TO WORK WITH YOUNG SPECIALISTS”

Prof. GCHAKHUNASHVILI,
Chairman of Georgian National Section of Euroscience
A.MORCHILADZE – Chairman of Union of Georgian Medical Associations

Main challenge is to involve as much young professionals in medical science and practice as possible

Aim:

Promoting young generation to take part in medical conferences and their involvement in science to enhance their skills, experience in science and clinical practice.

Target groups: Young specialists, Residents, PhD students and Medical Students.

Suspected result:

Creating a new perspective by giving chance and experience to young specialists.

საქართველოს ჰუმანიტარულ და
სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია
Humanitarian and Art Academy of Georgia



გაღივლილსოფია – XXI სოუკუნის მედიცინის ახალი აზროვნება და მსოფლმხედველობა

იბ. ღოლიძე (თბილისი)

პარადოქსად უნდა ჩაითვალოს ის რომ, არცერთ ფილოსოფიურ ლექსიკონში ან ენციკლოპედიაში ვერ ენახათ „ჯანმრთელობის“ – ცნების განსაზღვრას. მარტივად იმიტომ, რომ ის იქ არ არის, თუმც „ჯანმრთელობის“ სიტყვის გამოყენება თავისი მნიშვნელობითა და აზრობრივი ვარიაციებით ძალზე ხშირადაა წარმოდგენილი და შესაბამისად იკავებს ფუნდამენტის როლს დედამიწაზე ყველა ცოცხალი არსებისათვის. ფილოსოფიის ინფორმაციულ სივრცეში არსებული წინააღმდეგობრივი აზროვნება და გარკვეული ხარვეზები შეიძლება აიხსნას ორმხრივი მოუშადებლობით, ნაცვლად იმისა, რომ ურთიერთშეერწყმონ, გამონახონ კონსტრუქციული თანაარსებობის გზები, ურთიერთკავშირების დამყარებით გადაწყვიტონ ჯერ კიდევ მოუგვარებელი პრობლემები. დადებითი გადაწყვეტის შემთხვევაში მოიხსნება არსებული გაუგებრობები, რის შედეგად ფილოსოფია შეძლებს გაიფართოვოს თავისი მოქმედების ინფორმაციული ველი და უდანაკარგოდ გააძლიეროს მისი ზემოქმედების უნარი როგორც სულიერ, ასევე ცხოველმოქმედების ფიზიოლოგიურ პროცესებზე.

ფილოსოფია სიცოცხლისა და ცხოვრების ხელოვნებაა. ძველი რომის ყველაზე სახელგანთქმული პოლიტიკოსი და ორატორი მარკუს ტულიუს ციკერონი (ძვ.წ. 106) ფილოსოფიას სულის მედიცინად მიიჩნევდა. ამასთანავე, თავისი გულწრფელობით თვლიდა, რომ „გონების დაავადება უფრო უარესია და უფრო ხშირია, ვიდრე სხეულის“. სიტყვა „ფილოსოფია“ სიბრძნის ძიებას ნიშნავს, რაშიც იგულისხმება კეთილგონიერება არა მარტო საქმიანობაში, არამედ იმ სრულ ცოდნაში, რისი შემეცნებაც შეუძლია ადამიანს. ადამიანის მიერ შეძენილი ცოდნა ესმარება მას საკუთარი ცხოვრების ეფექტურ წარმართვაში, ჯანმრთელობის შენარჩუნებაში და სამყაროს მეცნიერული ხედვის სრულყოფაში.

ფილოსოფია, ავტორიტეტული ესკულაპების შესხედულებით, ჩაისახა იმავე პრობლემურ ნიადაგზე, როგორიც განიცადა მედიცინამ. პიპოკრატეს მიერ შემოთავაზებული უძველესი ფორმულა გვახსენებს, რომ „ცოცხალ სხეულში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია“ რაც ცნობილი კლინიცისტის ვკასილენკოს შესხედულებით, სამედიცინო აზროვნების საფუძვლები წარსულშივე იქნა ჩადებული. დიაგნოსტიკა და დიალექტიკა არის ფილოსოფიური ცოდნისა და ექიმის „ეშმაკობის“ შეჯიბრება, რამაც დროულად უნდა შეაჩეროს პათოლოგიური პროცესის განვითარების ტემპები, რითაც იტანჯება ადამიანი. უკვე ხამურაბის

კოდექსში (ზვ.წ. 1790, მესოპოტამია) მოიხსენება სახელმწიფო სკოლის მკურნალები, რომელთა მიზანი იყო არამარტო ავადმყოფთა მკურნალობა, არამედ ჯანმრთელი ადამიანების დაავადებების თავიდან აცილება. უძველეს წარსულში ტყუილად კი არ ამბობდნენ, რომ ექიმი-ფილოსოფოსი ღმერთთან თანასწორია. ერთ-ერთ ეგვიპტურ პაპირუსში ჩაწერილია: „არსებობს რაღაც, თანაგარსკლავედის გულგრილობის ფონზე, ვის წინაშეც უკან იხევს ყოველივე არსებული და მუდმივად ისმის ტალღების ჩურჩული“ ადამიანის ბრძოლა, გამოსტაცოს სიკვდილს მის მიერ წართმეული ნადავლი. ავიცნა სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ექიმი ვალდებულია შეისწავლოს არამარტო დაავადების გამომწვევი მიზეზები, არამედ ჯანმრთელობის დარღვევის მიზეზები.

ვალეოლოგიური განათლების სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის მთლიანობაში შეისწავლის დღემდე დაგროვილ ცოდნას ადამიანზე, მისი ურთიერთობის თავისებურებებზე ბუნებასთან და სოციალურთან კავშირში, რაც მოიპოვება ისეთ მეცნიერულ დარგებში, როგორიცაა ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ბიოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, ეკოლოგია, კულტურა, ეთნოგრაფია და რელიგია.

ვალეოფილოსოფია კი წარმოადგენს თანამედროვე ეპოქის ახალ მეცნიერულ აზროვნებასა და მსოფლმხედველობას, რომელიც დაფუძნებულია ევოლუციური განვითარების ფუნქციურ-ინტეგრირებულ მეთოდოლოგიურ კრიტერიუმებზე და მის მთავარ პრინციპზე: „ფუნქცია განსაზღვრავს სტრუქტურას“. აქედან გამომდინარე, ვალეოფილოსოფიის მთავარი საკვანძო ელემენტია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური მოდელი, რომელიც აღიარებულია ჯანმრთელობის ყველაზე სრულყოფილ ფორმად. ჯანმრთელობა განიხილება სამი ფაქტორის მიზანმიმართული ფუნქციური მონაწილეობითა და ერთიანი შემოქმედებითი გადაწყვეტით, როგორიცაა სულიერი (აზროვნების გაფართოება), სოციალური (აქტიური, შემოქმედებითი სიცოცხლე და მრავალფაქტორული ადაპტაცია) და ფიზიკური (ფუნქციური რეზერვების რეალიზაცია) მდგომარეობების გადახალისება. ყოველივე ეს ასახავს პოულობს ადამიანის (Homo moralis-მორალური ადამიანი) ევოლუციური განვითარების (ონტოგენეზის) სინერგეტიკულ და ვალეოგენეზურ მიმართულებათა დახვეწაში.

ვალეოფილოსოფია – ფილოსოფიური ცოდნის ფორმირების დარგია, რომელიც შეისწავლის ადამიანის ჯანმრთელობის ჩამოყალიბების, მისი შენარჩუნებისა და განმტკიცების მსოფლმხედველობის პრინცი-

პებს, სადაც გათვალისწინებულია ეკოლოგიური ფაქტორის ადგილიც და როლიც. ეს კი მოითხოვს ვალდებულ-საეციალისტების მომზადებას, რომლებიც ორიენტირებული იქნება ჯანსაღი ცხოვრების წესის ფასეულობებზე, სულიერი და ფიზიკური სხეულების ინდივიდუალურ სრულყოფაზე.

ადამიანის სომატური, ფსიქიკური და სოციალური ჯანმრთელობის მდგომარეობის სწორი შეფასება თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით შეუძლებელია, რადგან ის დაფუძნებულია სიცოცხლის შემცენების სხვადასხვა და ურთიერთგანცალკევებულ კონცეფციებზე. ეს კი თავისთავად მოითხოვს ფუნდამენტურ მეცნიერებათა მიღწევების აუცილებელ მოზიდვას, რაც დროულად მიგვაახლოვებს სიცოცხლის ბუნების შემცენებასთან. აქვე, მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ ერთმანეთთან სოციალური ჯანმრთელობის ფაქტორები. ქვეყანაში არსებული ეკონომიკის ნგრევა, პოლიტიკური ბანდიტიზმი და საზოგადოების კრიმინალიზაცია ხელს უშლის ერთიანი სომატური, ფსიქიკური და სოციალური ჯანმრთელობის შენარჩუნებას. ფსიქიკურ არამდგრადობას მიეყვარება დაავადებებისმატებასთან, რაც დაკავშირებულია ადაპტაციური მექანიზმების (მიღებული მოდელია – ფსიქოემოციური სტრესი) მეტისმეტ გაძაბვასთან.

ადამიანის სიცოცხლის ნებისმიერ მონაკვეთში ჯანმრთელობის შემოქმედია – არა სკალპელი და არა აბები, არამედ ადამიანი, ექიმი, რომელიც შეაფასებს შექმნილ სიტუაციას, შეხედულებით ჩატარდება ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები და ამის შემდეგის დასვამს დიაგნოზს, დანიშნავს ოპერაციას ან შეარჩევს სამკურნალო პრეპარატების სახეობას. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს ექიმის პროფესიული მომზადების დონე და ბიოეთიკური აზროვნება.

ვალდებულებათა სფეროში აზროვნების პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული ადამიანის ჯანმრთელობის მართვა სახელმწიფოებრივი სრუტეების მზრუნველობის ფონზე, რამაც მიზანდასახულად უნდა გამოიყენოს ბიოლოგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის და სხვათა დარგების თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობის გამოცდილებები.

ადამიანი ურთულესი ბიოლოგიური, სოციალური, სულიერი, ზნეობრივი ნორმების მატარებელი არსებაა. გამონიშნული ფრანგი მეცნიერი, თეოლოგიაში ახალი მიმდინარეობის – ტეიარდისმის ფუძემდებელი პიერ ტეიარ დე შარდენის (1881-1955 წ.წ.) განმარტებით, ადამიანი სამყაროს ანალოგიური არსებაა, რადგან მასში სამყაროა აკუმულირებული. ადამიანი თვით სამყაროს, დმერთის სახეა.

ჩვენ, ჯანმრთელობა და ავადმყოფობა უნდა განვიხილოთ, როგორც ურთიერთდაკავშირებული ცნებები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმის ცხოველქმედების ორ თვისობრივად განსხვავებულ მდგომარეობას ასახავს და რომელთა განსაზღვრა სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებების ფუნდამენტური პრობლემაა, ხოლო მათ გააზრებას ბიოეთიკური ცნობიერების განზომილებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიომედიცინაში სხვადასხვა ეთიკურ დილემათა არსის ანალიზისა და შეფასებისას.

ადამიანის ჯანმრთელობის, როგორც სამეცნიერო ცნების, დეფინიცია დღეს გადაუწყვეტელი საკითხია. ითვლება, რომ ჯანმრთელობის საყოველთაოდ მიღებული განმარტების შემუშავება არამარტო მედიცინის,

არამედ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, თეოლოგიისა და ცოდნის სხვა დარგების ამოცანაცაა.

ვალდებულებას (ჯანმრთელობის მეცნიერებას) მრავალი მეცნიერი ისე უყურებს, როგორც XX საუკუნის რელიგიას, ანუ სულიერი აგრესიის მესამე ტალღას. გასაკვირი არც ის არის, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ XX საუკუნის ბოლოს წამოაყენა მედიცინის განვითარების ინტეგრალური კონცეფცია, რომლის მთავარი იდეა: „XXI საუკუნისმედიცინა დაცვით-მოგერიებითი პოზიციიდან უნდა გადავიდეს სოციალურ-კონსტრუქციულზე, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და აქტიურ დღეგრძელობას“. მაშასადამე, პრინციპულად უნდა შეიცვალოს ექიმის როლიც: „დაავადების მკურნალობისგან“, ისუნდა იქცეს „ჯანმრთელობის კონსტრუქტორად“ ხოლო, დაავადებათა მედიცინა“ გარდაიქმნეს „ჯანმრთელობის მედიცინად“. სამწუხაროდ, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ჯანმრთელობა არ განიხილებოდა სამედიცინო მეცნიერების პრეროგატივად, რადგან ორთოდოქსული (კლასიკური) მედიცინა ყოველთვის დაკავებული იყო ავადმყოფი ადამიანების მკურნალობით. ამასთანავე, დაავადების მძიმე მდგომარეობიდან ადამიანების გამოყვანა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას ჯანმრთელობა დაუბრუნდა, ე.ი. ის სიჯანსაღის თვალსაზრისით საუკეთესო მდგომარეობაშია და ნებაყოფლობით – ხალისიანად ასრულებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობებს, რაც, ცხოვრებამ (პირადულმა და საზოგადოებრივმა) დააკისრა. თანამედროვე მედიცინის პათოცენტრისტულ შეხედულებათა კვალზე პრაქტიკოსი ექიმი თავისი პროფესიული განათლებით დიაგნოსტიკის პროცესში კონცენტრაციას ახდენს მხოლოდ დაავადებული ადამიანის ორგანულ პათოლოგიაზე, ანუ ცალმხრივი ქმედებით მკურნალო კარგავს დაავადების სრული კლინიკური გამოვლინების რეალური სურათის აქქმას, რითაც შეუძლია დადგინოს მოცემული დროის რეჟიმში იმ პაციენტების ჯანმრთელობის ხარისხი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ჯანმრთელები იყვნენ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ დაავადების კლინიკური ნიშნების გამოუვლინებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს აბსოლუტურ ჯანმრთელობას, რადგან ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის არსებობს მესამე (გარდამავალი) მდგომარეობა, როცა ადამიანი არც ჯანმრთელია და არც ავადმყოფი. ექიმები ჯანმრთელობის მესამე მდგომარეობით, როგორც წესი, არ ინტერესდებიან, რადგან ვერ ფლობენ იმ მიზანდასახულ სადიაგნოსტიკო ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც საჭიროა ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამას ისიც ემატება, რომ ექიმს საერთოდ არ აინტერესებს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებანი, ისევე, როგორც ჯანმრთელი ადამიანს – ექიმის პრაქტიკული შემოქმედებით მოღვაწეობა. ადამიანისა და ექიმის ურთიერთდამოკიდებულებას საინტერესოდ განსაზღვრავს კარლ მარქსი: „ადამიანის სხეული ბუნებით მოკვდავია. ამიტომ დაავადებები გარდაუვალია. რატომ მაინცდამაინც, ადამიანი, მხოლოდ მაშინ მიმართავს ექიმს როცა დაავადებულია, და არა მაშინ, როცა ჯანმრთელია? იმიტომ, რომ არამარტო დაავადება, არამედ თვით ექიმიც არის ბოროტება. მუდმივი საექიმო მეურვეობა სიცოცხლეს ბოროტად აქცევს, ხოლო ადამიანის სხეულს – სავარჯიშო ობიექტად.“

ადამიანთა უმრავლესობა ჯანმრთელი იბადება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად ჩვენი ორგანიზმის ბუ-

ნებრივ ძახილს არ ვუსმენთ, ყურადღებას არ ვაქცევთ მის პირველსავე განცხადებას – კლინიკურ სიმპტომებს – არადა, ამგვარად მოქცევისას მოსალოდნელი დაავადება იოლად და დროულად დიაგნოზდება.

კლასიკურმა სახელმწიფოებრივმა მედიცინამ და ჯანდაცვის სისტემამ, მიუხედავად იმისა, რომ მიაღწიეს უმაღლეს წარმატებებს მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა სფეროში, ვერაფერი გააკეთეს ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით. სახელმწიფოებრივი მედიცინა ყოველთვის იყო და არის მხოლოდ სამკურნალო მედიცინა, „ჯანდაცვა“ კი არასდროს გამხდარა მოსახლეობის ჯანდაცვის ორგანიზატორად. ჯანმრთელობის სისტემის დაწესებულებები დღესაც უპირატესად წარმოდგენილია კლინიკური მედიცინის ორგანიზატორებად. მთავრობამ დღემდე ვერ შეიგნო მოსახლეობის ჯანმრთელობის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაში. ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგნოზირება კი მეცნიერული კვლევის გაუმჯობესებად შეუძლებელია. მაშ, მედიცინა გადაიქცა ვიწროსპეციალიზებულ სამკურნალო დარგად და თავისი არსით მოგვევლინა მეცნიერებად, რომელიც დაავადებაზე ორიენტირებული და ყველაზე ნაკლებად კი – ჯანმრთელობაზე.

დღეს მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების მხრივ შეიქმნა მეტად საშიში და პარადოქსული მდგომარეობა: რაც უფრო მეტად განვითარდა მედიცინა, მით უფრო მეტად დაგრძელდა (თანამედროვე ნოზოლოგიური ნომენკლატურის შესაბამისად) პაციენტებისათვის დასმული დიაგნოზების სია. მან შეიძლება მიაღწიოს 23 ათასამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს საშუალოდ უნდა სჭირდეს 20-ზე მეტი დაავადება. ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ ვიწრო სპეციალიზტები რეგულარულად ივლინებიან ახალ სინდრომებს, პათოლოგიებსა და დაავადებებს. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასეთი სურათი იხატება. ამიტომ ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს, დაიცვას ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროულად ჩართვით შეინარჩუნოს და განიმტკიცოს ჯანმრთელობა.

ჯანდაცვის გაუთავებელი რეფორმები ადამიანის ჯანმრთელობას კი არ ემსახურება, არამედ ხელს უწყობს ავადმყოფთა რაოდენობის ზრდასა და დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას, ჯანდაცვის სისტემასა და საფუთაქო ქსელში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას დაავადებულთა ხარჯზე. ამას ისიც ემატება, რომ იგი კერძო სტრუქტურებშია გადასული, სამინისტროს მხოლოდ სადამსჯელო ფუნქციად დარჩა და საერთოდ ვერ აკონტროლებს ჯანდაცვას. შექმნილია ელიტარული კლინიკები, მათზე წამდაუქმდებლად კობენ ტელევიზორში, და რეკლამას უკეთებენ ოპერაციებს, სხვადასხვა დაავადების მკურნალობას და არა-ვინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს დაავადება არ განდევს. რატომ მიდის ავადმყოფი ოპერაციამდე? რატომ დაავადდა ამა თუ იმ დაავადებით? რატომღა მოშლილი პროფილაქტიკური მედიცინა, რაიონებში ხომ საერთოდ თითქმის ჩავარდნილია პრევენცია და იქ სპეციალისტების დიდი დეფიციტია... საყოველთაო დაზღვევის მოდელი ძირითადად გადმოღებულია გერმანიიდან. კი, მაგრამ ჩვენ გერმანიის დონეზე ვართ? ჯანდაცვა რას უნდა ცდილობდეს? უნდა იცავდეს სიცოცხლეს. მაშ, ესაა სიცოცხლის დაზღვევა, მაგრამ ეს

დაზღვევა არის უეფექტო და მიუღებელი, თუმცა, ეს რომ არ დაენერგათ, სამკურნალო დაწესებულებები გაკოტრდებოდნენ. აქ საუბარია მოსახლეობის მომსახურებაზე, ეკონომიკურად განადგურებულ, ვალების მქონე საავადმყოფოებზე, მილიონობით უმუშევარზე. ექიმში დატოვებს გამომუშავებაზე და, თუ მას ავადმყოფი არ ეყოლა, ის ან მოიხსნება, ან უხელოვანად დარჩება. ექიმი რითაა დაინტერესებული? ავადმყოფით და თუ, ავადმყოფი არ ეყოლა, ტოვებს საავადმყოფოს. რატომღა ამდენი სიკვდილიანობა? იმიტომ, რომ რეფორმა უვარგისია. ჯანდაცვის სამინისტრო არაფერზე პასუხს არ აგებს. ამ დროს სისტემა როგორი უნდა იყოს? ყოველი ავადმყოფის გადარჩენაზე უნდა ზრუნავდეს. საავადმყოფოები ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული, მართვა და კონტროლი ზემოდან ხდებოდეს. აქ კი რა ხდება? ჯანდაცვის სისტემა ისეთივე ბიზნესად აქციეს, როგორც კარტოფილისა და კომბოსტოს ბიზნესი. ისიც მოგებაზე მუშაობს და, რაც მეტი ადამიანი გახდება ავად, ბიზნესი მით უფრო მოიგებს. ადრე სამედიცინო ბიზნესი სახელმწიფოს იყო და ფულს-თავის მოსახლეობას ახმარდა, რადგან სახელმწიფო ხალხისა იყო. ამრიგად, ჯანდაცვის სისტემა რეალურად რეფორმის გარეშე დარჩა და მისი ინტერესი გახდა ავადმყოფების რაოდენობის პროგრესული მატება. ამას კი უზარმაზარი ფული შემოაქვს მედიცინაში. ეს თანხა კი აკლდება ხალხს და იღვქება კლინიკების მეპატრონეების ჯიბეებში. ამათ წილში ჰყავთ ის ადამიანები, ვინც მათ მხარს უჭერს. ჯანდაცვა მოითხოვს რეალურ რეფორმას, უნდა გაიზარდოს პრევენცია და პროფილაქტიკური მედიცინა. თუ ადამიანი დაავადდა და საავადმყოფოში მოხვდა, სწორედ ეს უნდა გახდეს „განგაშის“ მიზეზი. რეფორმა გასატარებელი პოლიტიკისა და სასწრაფო დახმარების ცენტრებში და, რაც მთავარია, თავად სამინისტროში, რადგან სახელმწიფოებრივმა ჯანდაცვამ ამოწურა თავისი სისტემური შესაძლებლობები, ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და პრინციპულად მოითხოვა ამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟი და მოუკიდებელი სამსახურების შექმნით ცალკე – ავადმყოფებისა და ცალკე ჯანმრთელი ადამიანებისათვის. აქედან გამომდინარე, ვალეოლოგია უნდა განვიხილოთ, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნებისა და ოჯახის კეთილდღეობას, გაზრდის ქვეყნის შრომით პოტენციალს, კულტურის დონეს და ა.შ.

საზღვარგარეთ ვალეოლოგიის ანალოგიურ მიმართულებად მიიჩნეულია „Health promotion“ და „Health education“, სადაც ჯანმრთელობის მეცნიერება არ განიხილება ნოზოლოგიური მედიცინის ალტერნატივად. ის გულისხმობს მედიცინის საზღვრების გაფართოებას; თუ მოხდა მისი გაერთიანება დაავადებათა კომპლექსურ თეორიულ-პრაქტიკულ სწავლებას (პათოლოგიას) და ადამიანის გარემო პირობებთან (იგულისხმება პოეზიანა) ერთიანი გავლენის ქვეშ, ვალეოლოგია შეიძლება გახდეს მედიცინის ზოგადი თეორიის შემუშავებისა და პრაქტიკული ჯანდაცვის განვითარების ახალ სტრატეგიად.

ვალეოლოგია თავისი მორალურ-ედეოლოგიური მიდგომით დამსახურებლად იკავებს პრიორიტეტულ ადგილს (განვითარებული ქვეყნების სტატისტიკური მონაცემებით). მან გაუსწრო დღეს არსებულ ჯანდაცვის სოციალურინსტიტუტს და განიხილება ჯანდაცვის სტრატეგიის საფუძვლად. თუ ამას ვერ გაიცნობიერებენ შესაბამისი სტრუქტურები და საზოგადო-

ბა მუდმივად იქნება დაკავებული ძველებურად „ხანძრების ჩაქრობით“; ე.ი. დაავადებების გაუთავებელი მკურნალობით, მაშინ აშკარა გახდება ამ საქმეში ჩვენი ჩამორჩენა. არადა იმით კი არ უნდა ვიწონებდეთ თავს, რომ მომავალში გაგხსნით 100 საავადმყოფოს (ამაში ქვეცნობიერად იგულისხმება ავადმყოფების პროგრესული ზრდა), არამედ ვცდილობდეთ საავადმყოფოების შემცირებასა და ჯანმრთელობის ცენტრების გაზრდას (იგულისხმება ჯანმრთელი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა). ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა ადამიანის ჯანმრთელობა პრიორიტეტული გახდება და მას ისე შეხედავენ, როგორც ქვეყნის ძირითად ფასეულობას. ნებისმიერ სახელმწიფოში ჯანმრთელობას უზრუნველყოფს სამედიცინო პრინციპი, სადაც იგულისხმება ადამიანის, მედიცინისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა. ამ სისტემიდან ნებისმიერი რტოლის გამოვარდნა იწვევს მოსახლეობის ჯანმრთელობის მოშლას. ამაზე მიუთითებს თუნდაც არასრულყოფილად ჩატარებული სტატისტიკა (2002 წლიდან დღემდე მოსახლეობის აღრიცხვა ტარდებოდა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდებში): საქართველოს ყველა მეთოთხმეტე მოქალაქე ნარკომანია. ამას ემატება დემოგრაფიული და სამედიცინო საფრთხეებიც (კატასტროფულად მზარდი აღრეული ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, ქვეყანაში 700 ათასზე მეტი ონკოლოგიური პაციენტი დაა.შ.). ქართველი მოსახლეობა გადაშენების საფრთხეშია. მისი ყველიმეექვსემოქალაქე ხანდაზმულობითა და საშუალო ასაკით ყველაზე დაბერებულია სამხრეთ კავკასიაში. გადაუდებლად საჭიროა ქართული გენის გადასარჩენად მიზანდასახული ღონისძიებების გატარება.

კლასიკური მედიცინა არასდროს გამოდიოდა ინდივიდუალური ჯანმრთელობის თეორიის შექმნის მომხრედ. ეს არ იყო შემთხვევითი ამბავი. სპეციალისტები აღიარებენ, რომ „სამედიცინო მეცნიერებაში არ არის „ჯანმრთელობის“ ზოგადად მიღებული განსაზღვრები და მისი დეტერმინირებული ფაქტორების როლი“. მხედველობაშია ინდივიდუალური ჯანმრთელობა. გამოწვევისაა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტების თვალსაზრისი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის დებულებით ძალაში შევიდა 1948 წელს. ჯანმრთელობა განმარტებული იქნა, როგორც „ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობის მთლიანი მდგომარეობა, და არამარტო დაავადებების ან ფიზიკური დეფექტების უქონლობა. თვით ამ განსაზღვრების ხასიათი იმაზე ლაპარაკობს, რომ იგი გადის მედიცინის კომპენტაციის საზღვრების გარეთ, თუმცა არასამედიცინო ფაქტორი— „სოციალური კეთილდღეობა“ ჯანმრთელობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

საქართველოში ვალეოლოგია, როგორც წესი, სახელმწიფოებრივი სისტემის გარეთ და სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. ამ უსისტემობას განაპირობებს ბევრი ფაქტორი: ჯერ კიდევ არ დამუშავებულია ვალეოლოგიის განათლებისა და პრაქტიკის ინტეგრირებული იდეოლოგია, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მედიცინასა, პედაგოგიკასა, ფსიქოლოგიასა და სხვა სამეცნიერო დარგებთან; მეცნიერთა შორისარსებობს შიდადარგობრივი პროფესიული კონსერვაციზმი. მედიცინა, თავისი დარგობრივი განვითარებით მთლიანად დაფუძნებულია პარადოქსზე. ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისას დაკავებულია მხოლოდ დაავადებების პრობლემებით და არა ჯანმრთელობის შენარ-

ჩუნებით, განმტკიცებითა და სრულყოფით. ამ მცდარ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას ეხმაურება პროფესორი გაპანასენკო (2000 წ.): „თუ გვინდა განვავითაროთ კოსმოსური ტექნიკა, უნდა განვავითაროთ რაკეტაშიმენებლობა; თუ გვინდა მივიღოთ რძე და ხორცი, უნდა განვავითაროთ სოფლის მეურნეობა; თუ გვინდა გვყავდეს ჯანმრთელი ადამიანი, უნდა დაგვაგდეთ ჯანმრთელობის შესწავლით, ხოლო მედიცინა კი საერთოდ დაკავებულია დაავადებით. სულ უფრო და უფრო მეტი ვიცით დაავადების შესახებ, უფრო და უფრო მეტად ვავლენთ ავადმყოფ ადამიანებს, სულ უფრო და უფრო მეტად ვივინებთ და ვქმნით ახალ სამკურნალო პრეპარატებს და ამ სტრატეგიის განხორციელებას საბოლოოდ ჩიხში შევყავართ“.

ჭაობში ჩაძირული ქვეყნის ჯანდაცვის პრობლემური საკითხების (მხედველობაში მაქვს მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირება და განმტკიცება) გადაწყვეტა შესაძლებელია არა მხოლოდ თანამედროვე ჯანმრთელობის ცენტრების შენებით, ამავე დროს საჭიროა მათი დაკომპლექტება მაღალპროფესიული ვალეოლოგ-სპეციალისტებით, რომლებიც საფუძვლიანად ერკვევიან ვალეოლოგიაში (ჯანმრთელობის ფილოსოფიაში), ვალეოგენეზის თეორიაში (ჯანმრთელობის ფიზიოლოგიურ მექანიზმებში), ვალეომეტრიაში (ჯანმრთელობის პოლისტიკურ გაზომვებში), ვალეოპრაქტიკაში (ინდივიდუალური ორგანიზმის გაჯანსაღების პრინციპებში) და სისტემური მიდგომით წვევებენ ჯანმრთელობის პრობლემურ საკითხებს. ექიმის პროფესიონალიზმს, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც დაავადებათა ეფექტურ მკურნალობაში, ასევე ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. ექიმის პროფესიული დახელოვნება მისი თმის გაჭაღარებასთან ერთად მოდის. ექიმი, რამდენადაც მეტი გამოცდილება აქვს, იმდენად ნაკლებ შეცდომას უშვებს. ის ყოველდღიურად უნდა იმედობდეს პროფესიულ ცოდნას მედიცინის თეორიაში და ხვეწდეს პრაქტიკულ გამოცდილებას.

ვალეოლოგიაში ჯანმრთელობა პროგრამულად მოტივირებულია. თუ ავადმყოფობას ადამიანი ექიმთან მიჰყავს, ჯანმრთელობასთან ადამიანს თვითონვე შეუძლია მისვლა ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით და მიზანმიმართული აუტოტრენინგით. ჯანმრთელობის შენარჩუნება-განმტკიცებაში განსაკუთრებული როლი ექიმებთან ერთად განეკუთვნება პედაგოგებსა და ფსიქოლოგებს. ვალეოლოგიური კვლევის რობექტი ადამიანია და მას აქვს კვლევის საკუთარი მეთოდოლოგია.

რაკილა მედიცინა დაკავებულია ავადმყოფის მკურნალობით, ე.ი. დაავადების პროცესის მართვით, თანამედროვე ტექნოცივილიზაციის პირობებში აუცილებელია „მკურნალობის ინდუსტრიას“ დაემატოს „ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარისხის ინდუსტრია“, რამაც უნდა უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება, მისი განმტკიცება და აქტიური დღეგრძელობა. ამ ინდუსტრიის მიზანია მაღალხარისხოვანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება. მაშასადამე, დღის წესრიგში დგას ვალეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა. ვალეოლოგიის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა : შეუძლებელია მხოლოდ ერთმა ადამიანმა (მხედველობაში გვაქვს ზოგადი პროფილის ექიმის შესაძლებლობები), ათვისოს და გაიზიაროს დღემდე დაგროვილი მთელი სამედიცინო ცოდნა.

დაავადებათა თანამედროვე ნომენკლატურაში შეტანილია 10 000-ზე მეტი დასახელების ნოზოლოგი-

ური ერთეული. სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია 1000-ზე მეტი სხვადასხვა სიმპტომი (Чазов Е.). ამის გათვალისწინებით, მკდარი დიაგნოზის დასმის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია ექიმს დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა. რადგან ვითხოვთ ექიმისაგან უფრო მეტს, ვიდრე ეს მას შეუძლია. ხშირად წარმოიშობა დიაგნოსტიკის სიძნელე, როცა პაციენტი ექიმს მიმართავს დაავადების განსხვავებული კლინიკური ფორმით მიმდინარეობისას. ამიტომ, ექიმს სამედიცინო პრაქტიკის ყველა შემთხვევაში არ უნდა მოეთხოვოს დაავადების ზუსტი დიაგნოსტიკა, რადგან ეკ ძალზე ძნელი საქმეა, თუმცა ის ვალდებულია, გარკვეული გეზი აიღოს დაავადების პროფილის დასადგენად გაიაროს შესაბამისი კონსულტაცია სათანადო სპეციალიტთან. რაც შეეხება ოპერაციის ჩატარებას, ის გარკვეული რისკის მატარებელია. ამასთანავე, მხედველობაში მისაღება ისიც, რომ დაავადების მიმდინარეობისას ოპერაციულ ჩარევას თან ერთვის ქირურგიული ტრავმა, „ქირურგიული აგრესია“. ამიტომაც, ოპერაციის რისკი გამართლებული უნდა იყოს. ასევე გასათვალისწინებელია ოპერაციის ჩატარების პროცესში მოსალოდნელი საფრთხეები. ოპერაციის რისკი არ უნდა აღემატებოდეს დაავადების მიმდინარეობის დროს წარმოშობილ საშიშროებას.

ჯანმრთელობის პრობლემა ძალზე შორს გასცდა მედიკოსების პროფესიული პასუხისმგებლობის ჩარჩოებს, რამდენადაც ის გახდა არამარტო ჯანდაცვის, არამედ ზოგადსახელმწიფოებრივი ზრუნვის ობიექტად. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივმა სტრუქტურებმა უნდა მოახდინონ ძალების მობილიზება მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების პირობების შესაქმნელად. ეს არის ჯანმრთელობის კულტურის ამადლება, რისკ-ფაქტორების აცილება და ა.შ. ამგვარად, სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და მისი განმტკიცება. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა შეიქმნეს ჯანმრთელობის კორპორაციული ეროვნული ცენტრები და წინასწარ მომზადდეს პროფესიული კადრები, რაც მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში ხდება. უნდა გვახსოვდეს: სპეციალისტები ვალდებული არ იბადებიან, ისინი უნდა ჩამოყალიბდნენ შესაბამისი პროფესიული განათლების მიღების შემდეგ. სინამდვილეში რა ხდება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში? მოსახლეობაში იბადება მრავალი კითხვა: რატომ მიდის ავადმყოფი ოპერაციამდე? რატომ დაავადდა ამა თუ იმ დაავადებით?

ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად საჭიროა ჯანმრთელობის მეცნიერება, როცა მედიცინა ისტორიულად აცხადებდა, რომ ჯანმრთელობის შენარჩუნება მისი მთავარი მიზანია? თუ ეს ბაჟადლო სიმართლე იყო და დღეიში დღესაც მოქმედებს, მაშინ ჯანდაცვის წარმატების მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობის შემცირება, რიგი საავადმყოფოებისა და სასწრაფო დახმარების სადგურების დახურვა, ექიმთა გარკვეული ნაწილის გადაკვალიფიცირება ჯანსაღი ცხოვრების წესის კონსულტანტებად და ა.შ. დღევანდელი ჯანდაცვა კი თავის წარმატებად აფასებს პოლიკლინიკებში პაციენტთა მატებასა და სასწრაფო დახმარების მიერ პოსპიტალიზებულ ავადმყოფთა ზრდას. მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება სამეურნალო მედიცინითა და საავადმყოფოთა ჯანდაცვის გზით სვლა ყოველად მიუღებლად მიგვაჩნია. საჭიროა შევბრუნდეთ ჯერ კიდევ არადაავადებული ადამიანებისაკენ, მოვახდინოთ მა-

თი პირველადი პროფილაქტიკა და ეს ვაქციით ყველაზე მთავარ საქმედ მედიცინისა და ჯანდაცვის სისტემაში, მასში ჩაერთოთ სახელმწიფოსა და საზოგადოების მთელი ძალისხმევა და საშუალებები. ეს ამოცანა კი-არ ეტევა მხოლოდ მედიცინის ჩარჩოებში.

თუ ჯანდაცვის სამეცნიერო-პრაქტიკულ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე მედიცინის მიღწევები, მაშინ ჯანმართვის ძირითად მეცნიერულ იდეოლოგიად და სტრატეგიად უნდა მივიჩნიოთ ვალეოლოგია. მისი პრაქტიკაში დამკვიდრება ხელს შეუწყობს მედიცინის პათოცენტრისტული მიმართულების პრინციპების რღვევას, რაც განაპირობებს ჯანმრთელობის კრიტიკულების შემუშავების აუცილებლობას, ჯანმრთელობის მართვის სისტემის ჩამოყალიბებას ბავშვთა ადრეული ასაკიდან ადამიანის დაბერებამდე და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის წარუმატებლობა განაპირობა სახელმწიფო პროგრამის „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ განხორციელების იდეამ, რომელიც მკდარი აღმოჩნდა. ის გაუაზრებელი იყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად; ასევე ახასიათებდა მეთოდოლოგიური შეცდომები. ამ წარუმატებლობათა პირველი მიზეზი იყო ტერმინი „ჯანდაცვა“, რაც გულისხმობდა მხოლოდ ხალხის ჯანმრთელობის დაცვას, რასაც საბოლოო ჯამში შეეხო ყველა პროგრამას, რომელთა მიზანია დაავადებათა აცილება დამკურნალობა. ჯანმრთელი ადამიანებისთვის ჯანმრთელობის მიმატება ისევ რჩება აბსტრაქტულ ცნებად და, როგორც წესი, მხედველობის ველიდან იკარგება პროგრამების რეალიზაციის პროცესში. მეორე შეცდომა შემდეგია: ჰქონდათ კანონმდებლური, უფლებრივი და ეკონომიკური თანადგომის იმედი. დღეს, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების არასტაბილურობის პირობებში, შეუძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი გეგმები და პროგრამები, თუმცა ამისათვის დღევანდევ არის საჭირო მომავლზე ზრუნვა, რათა უმაღლეს სასწავლებლებში მოვაშადოთ კვალიფიციური კადრები ვალეოლოგიაში (სანოლოგიაში). ამ დროს უნდა მოხდეს პროფესიული დიფერენცირება, როგორიცაა ექიმი-ვალეოლოგი, ვალეოლოგი-პედაგოგი, ვალეოლოგი-ფსიქოლოგი და ა.შ. (ამისი პრეცედენტები არსებობს განვითარებულ ქვეყნებში). ამ დარგის განვითარებით უპირატესად დაინტერესებული უნდა იყოს მთავრობა. სამწუხაროა, რომ უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა და პედაგოგებმა არ იცინავდნენ იდეის ან სანოლოგიის ტერმინთა არსი და მათი მეცნიერულ-პრაქტიკული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალურ პროგრამაში („ხალხის ჯანმრთელობა“) გამოყოფილია სამიორგანიზაციული პრინციპი: 1) ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, „წინ წაწევა“ (Health promotion), 2) ჯანმრთელობის დაცვა (Health protection) და 3) პროფილაქტიკური მედიცინის სამსახური (Preventive services), რომლებიც ერთმანეთს ავსებს და ეფექტურად აუმაჯობებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტატუსს.

დღეს, მეცნიერებაში გაბედულად იკაგებს თავის ადგილს ჯანმართვა – ფუნდამენტური ინტეგრაციული მეცნიერება ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ; ის სხვადასხვა დონეზე (მოლეკულურ, უჯრედულ, ქსოვილოვან, ორგანულ, სისტემურ, ორგანიზმულ და პოპულაციურ) შეისწავლის ჯანმრთელობის ეტიოლოგიურ არსსა და იმ პროცესებს, მდგომარეობებსა და ფაქტორებს, რომლებიც ახასიათებს და განაპირობებს ინდივიდუალურ

და საზოგადოებრივ ჯანმრთელობას; იძიებს და შეისწავლის ჯანმრთელობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებს, შეიმუშავებს წარმოშობის, დიაგნოსტიკის, პროგნოზირების, სტაბილურობის, რეგენერაციისა და რეაბილიტაციის მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

ჯანმრთეობა, ეფუძნება რა პირველი რიგის მეტამეცნიერებების (ფილოსოფია, მათ შორის დიალექტიკური მატერიალიზმი, ადამიანმცოდნეობა) მიღწევებს და გამოიყენებს ბიოლოგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის თეორიულ-პრაქტიკულ გამოცდილებებს, მიეკუთვნება მეორე რიგის მეტამეცნიერებას და ვალეოლოგიის, სანოლოგიის, პათოლოგიისა და რეაბილიტაციის ფუნდამენტი.

ფაქტი ფაქტად რჩება – საქართველოში სახელმწიფოებრივმა ჯანდაცვამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება-განმტკიცება, რამაც გადაუდებლად მოითხოვა ამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟი ან მისი რეორგანიზაცია ჯანმრთელობის პრინციპების დაცვით. ამ რეორგანიზაციაში მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ სახელმწიფოს უმაღლესი სტრუქტურის ხელმძღვანელები, ჩამოყალიბდეს ჯანმრთელობის მართვის ინტეგრირებული ცენტრი, მომზადდეს კვალიფიცირებული ვალეოლოგ-სპეციალისტები (პედიატრები, თერაპევტები, რეაბილიტოლოგები, ფსიქოლოგები და ა.შ.) და დარგობრივად განაწილდნენ ინსტიტუტზე. დაწესებული ადრეული ასაკიდან და დამთავრებული ადამიანის ხანდაზმულობამდე ჯანმრთელობის ფორმირება და მისი განმტკიცება უნდა განხორციელდეს კადრების თეორიულ-პრაქტიკული მომზადების გზით, სადაც დაცული იქნება სპეციალისტებს შორის ერთიანობისა და ურთიერთშენაცვლების პრინციპი. ის დაემყარება ჯანმრთელობის მდგომარეობის საპასპორტო ინფორმაციას დაბადებიდან გარდაცვალებამდე. რაც შეეხება ჯანმართვას, მისი მეცნიერული და ორგანიზაციული იდეოლოგია ეფუძნება პირველი რიგის მეტამეცნიერებების (ფილოსოფია, მათ შორის დიალექტიკური მატერიალიზმი, ადამიანმცოდნეობა) მიღწევებს და გამოიყენებს ბიოლოგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის თეორიულ-პრაქტიკულ გამოცდილებას. იგი მიეკუთვნება მეორე რიგის მეტამეცნიერებას და ვალეოლოგიის, სანოლოგიის, პათოლოგიისა და რეაბილიტოლოგიის ფუნდამენტი.

ლიტერატურა:

1. ი. დოლიძე, სპორტული ვალეოლოგია – ზოგადი ვალეოლოგიის განვითარების საფუძველი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2006, 9
2. ი. დოლიძე, ვალეომეტრიული კვლევის თავისებურებანი ანთროპოკოსმურ მედიცინაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2008, 10
3. ი. დოლიძე, სპორტი ვალეოლოგიის პოზიციიდან, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები „ოლიმპიური სპორტი“-„სპორტი ყველასათვის“, თბილისი, 2009
4. ი. დოლიძე, ვალეოლოგია, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, საქართველოს სამედიცინო უკრნალი, 2009, 2
5. ი. დოლიძე, ვალეოლოგიური განათლება-წარმატებული ქვეყნის საფუძვლი ბარათი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2010, 11, 164
6. ი. დოლიძე, რეაბილიტოლოგიისა და ვალეოლოგიის ადგილი ჯანმართვის სისტემაში, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2010, 4

7. ი. დოლიძე, სანოლოგია-ჯანმრთელობის მართვის ფუნდამენტური მოძღვრება, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა, 2011, 2

8. ი. დოლიძე, სამკურნალო პედაგოგიის როლი სამედიცინო ვალეოლოგიაში, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2012, 12

9. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი, სპორტული ვალეოლოგიის განვითარების პერსპექტივები, ბავშვთა კარდიოლოგია, 2013, 7

10. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი, ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 52-54

11. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი, დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 64-66

12. ი. დოლიძე, ქვეყნის ჯანდაცვის კრახიდან ვალეოლოგიამდე, იმედი +, 2014, 7, 25-27

13. ი. დოლიძე, სამედიცინო და პედაგოგიური ვალეოლოგიისადმი სისტემური მიდგომის თავისებურებანი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2014, № 13, 70-75

14. ი. დოლიძე, სანოლოგიის როლი თანამედროვე მედიცინაში, მედიცინისა და მეცნიერების თანამედროვე პრობლემები, 2014, № 1, 24 -30

15. გ. ჩახუნაშვილი, ინტეგრალური მეცნიერება, როგორც XXI საუკუნის აუცილებლობა (ვალეოლოგია, სანოლოგია), სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, № 17-12-11, 27-31

16. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი, ადამიანის ჯანმრთელობა მედიცინის, ჰიგიენისა და სანოლოგიის მეცნიერულ-პრაქტიკული პოზიციებიდან, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, № 17-12-11, 37-41

17. გ. ჩახუნაშვილი, ი. დოლიძე, ვალეოლოგია, როგორც სამი კარდინალური მიმართულების – სასწავლო, სამეცნიერო და პედაგოგიურ დისციპლინათა – ინტეგრირებული მეცნიერება, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, № 9, 42-46

18. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი, მოზარდების ჯანმრთელობის მართვაში პედაგოგიური ვალეოლოგიისა და სანოლოგიის კრიტერიუმების მნიშვნელობა, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, № 9, 46-49

19. გ. ჩახუნაშვილი, ი. დოლიძე, თანამედროვე მედიცინა და სანოლოგია, ბავშვთა კარდიოლოგია, 2015, № 9, 50-52

20. გ. ჩახუნაშვილი, ი. დოლიძე, ნ. გონგაძე, ი. ფაველინიშვილი-ჯანდაცვის, ფარმაციის, ბიომედიცინისა და სპორტის ინდუსტრია, წიგნში: საქართველო 2050, საქართველოს განვითარების სტრატეგია, თბილისი, 2015, 123-133;

21. Брехман Н.И., Валеология, Наукаозорье, М., 1990

22. Колбанов В.В., Валеология, СПб, 1998

23. Апанасенко Г.Л., Попова Л.А., Медицинская валеология, „Феникс“, 2000, Ростов НД

24. Апанасенко Г.Л., Валеология – стратегия здравоохранения будущего, Материалы 4-го Национального конгресса профилактической медицины и валеологии, СПб, „Здоровый мир“, 1997

25. Brown E.R. Health program for the Us, JAMA, 1998, vol. 267, № 4, p. 552-558

26. Grainger R.D., Choosing Mental Health, Amer. Journ of nursing, 1993, vol. 93, № 1, p. 18

რეზიუმე

ვალეოფილოსოფია, როგორც XXI საუკუნის მედიცინის
ახალი აზროვნება და მსოფლმხედველობა

ი.ბ. დოლიძე (თბილისი)

ვალეოფილოსოფია წარმოადგენს თანამედროვე ეპოქის ახალ მეცნიერულ აზროვნებასა და მსოფლმხედველობას, რომელიც დაფუძნებულია ევოლუციური განვითარების ფუნქციურ-ინტეგრირებულ მეთოდოლოგიურ კრიტერიუმებზე და მის მთავარ პრინციპზე: „ფუნქცია განსაზღვრავს სტრუქტურას“. აქედან გამომდინარე, ვალეოფილოსოფიის მთავარი საკვანძო ელემენტია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური მოდელი, რომელიც აღიარებულია ჯანმრთელობის ყველაზე სრულყოფილ ფორმად. ადამიანის ჯანმრთელობა განიხილება სამი ფაქტორის აქტიურად მიმართული ფუნქციური მონაწილეობითა და ერთობლივი შემოქმედებითი მაღალი ხარისხობრივი შედეგის მისაღწევად სულიერების სფეროში (აზროვნების გააქტიურება და გაფართოება), სოციალური კეთილდღეობის შექმნაში (აქტიური, შემოქმედებითი სიცოცხლის უზარაანობა და მრავალფაქტორივი ადაპტაცია) და ფიზიკური მდგრადობის შენარჩუნებაში და განმტკიცებაში (ფუნქციური რეზერვების დროული ამოქმედება და მათი ეფექტური რეალიზაცია). ორგანიზმის ფუნქციური გადახალისება უზრუნველყოფს ადამიანის (ომო მორალის-მორალის მქონე ადამიანი) პიროვნების ევოლუციურ (ონტოგენეზურ) განვითარებას, რაც პირობადებულია სინერგეტიკულ და ვალეოგენეზურ ფუნქციურ მიმართულებათა პროგრამული დახვეწის გზით.

SUMMARY

VELEOPHILOSOPHY AS A NEW VISION AND NEW WAY OF THINKING OF XXI CENTURY

I.DOLIDZE (Tbilisi)

Key factor of Valeophilosophy is a functional model of human organism, which is recognized as a most complete form of health. Functional rejuvenation of organism provides the evolutionary (ontogenetic) development of human personality (homo moralis), which is conditioned through programmed refinement of synergetic and valeogenetic functional directions.

ფარიკაობის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე,
მის ჯანმრთელობაზე და ცხოვრების სტილზე

ნ. ანდრიაძე

(საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია)

ფარიკაობა სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც არ უშლის ხელს სწავლას და მეცნიერებას. გადავხედოთ საკუთარ ბიოგრაფიას. მე.ნიკოლოზ (გივი) ალექსის ძე ანდიაძე დაიბადე ქ. თბილისში 1943 წლის 22 მარტს. ბავშვობაში ვიყავი ძალიან მსუქანი, პუტკუნა ბიჭი, დაედოდი ჭადრაკის სექციაზე ვახტანგ ქარსელაძესთან პირნერთა სასახლეში. 12 წლის ასაკში მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ გასახდომად შევეყვანეთ იმავე შენობაში ფარიკაობის სექციაზე ცნობილ მწვრთნელთან ანატოლი ფიოდოროვთან. ამ დროს აქ ვარჯიშობდნენ მომავალში ცნობილი მოფარიკავეები: რეზო ცირეკიძე, იური ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, ძმები გოგელიძეები, იზო ესაიაშვილი და ა.შ. მე ვიყავი მათზე უმცროსი 5-6 წლით, მაგრამ ჩემთვის ეს იყო დიდი პატივი მე-ვარჯიშა და ურთიერთობა მქონოდა მათთან. 1958-59 წლებში 15-16 წლის ასაკში მოგებული მაქვს სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“-ს საკავშირო პირველობები ჩემს ასაკში. 1960 წელს 17 წლის ასაკში მომენიჭა სპორტის ოსტატის წოდება რაპირით ფარიკაობაში.

1961-62-63 წწ. სამჯერ მოვიგე საბჭოთა კავშირის პირველობა 20 წლამდე.

1962 წელს ევგენი პეტეში ქ. კაიროში მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდა მოფარიკავეთა შორის დავიკავე მე-5 ადგილი, ხოლო 1963 წელს ბელგიის ქ. გენტში გავხდი პირველი მსოფლიო ჩემპიონი საბჭოთა კავშირიდან ახალგაზრდა მოფარიკავეთა შორის 20 წლამდე.

განურჩევლად ასაკისა ვარ ასევე 5 გზის საქართველოს ჩემპიონი.

მინდა ავღნიშნო, რომ პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ვეტერან მოფარიკავეთა შორის ჩატარდა 1997 წელს ქ. კეიპტაუნში (სამხრეთ აფრიკა). როდესაც გავიგე, რომ ტარდება მსოფლიო პირველობა ვეტერანებს შორის მაშინვე დავინტერესდი და დავიწეე ვარჯიში. პირველად მონაწილეობა მივიღე ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატზე 2002 წელს (ა.შ.შ) ფლორიდის შტატში, ქ. ტამპაში. შემდეგ ვიღებდი მონაწილეობას ვეტერანთა ყველა მსოფლიო ჩემპიონატებზე. შევდიოდი პირველ ათეულში. საერთოდ, ჩემპიონატები ტარდება სამ ასაკობრივ კატეგორიაში: 50-60 წლამდე; 61-70-მდე და 71-დან და ზევით.

2013 წელს ვეტერანების ევროპის ჩემპიონატზე იტალიაში ქ. ტერნი ავიღე მე-3 საპრიზო ადგილი, სადაც დამაჯილდოვეს დიპლომით და მედლით.

2014 წელს ვეტერანების მსოფლიო ჩემპიონატზე უნგრეთში ქ. დებრეცენი ავიღე მე-3 საპრიზო ადგილი.

2014 წელს გერმანიის ქ. ლაიფციგში ევროპის ჩემპიონატზე პროფესიონალ ექიმებს შორის მოვიგე ყველა ბრძოლა და გავხდი ევროპის ჩემპიონი განურჩევლად ასაკისა. გადმოძვეს თასი, დიპლომი და მედალი.

2017 წლის ოქტომბერში სლოვენის ქ. მარიბორში გაიმართა ვეტერანთა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი ფარიკაობაში. სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოს ვეტერანთა ნაკრებმა პირველად 20 წლის

შემდეგ მიიღო მონაწილეობა. მე. როგორც საქართველოს ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ წავიყვანე გუნდი 3 კაცის შემადგენლობით დაშინით ფარიკაობაში და მოგხვდით 8 გუნდს შორის. წავაგეთ ამერიკელებთან, რომლებმაც აიღეს პირველი ადგილი.

ესლა, თუ შეიძლება, მოკლედ მოგახსენებთ ჩემი მოღვაწეობის შესახებ მედიცინაში.

1950-1960 წწ. ესწავლობდი და დავამთავრე თბილისის 53-ე საშუალო სკოლა.

1960-1966 წწ. ესწავლობდი და დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, სამკურნალო ფაკულტეტი.

1966-1970 წწ. ესწავლობდი ასპირანტურაში ქ. მოსკოვში, აკად. ა. მიასნიკოვის სახ. კარდიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც აკად. ვეგენი ჩაზოვის ხელმძღვანელობის ქვეშ დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ქ. ჩაზოვი ამ დროს იყო როგორც კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აგრეთვე მე-4 სამმართველოს უფროსი. მისი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდნენ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტები, როგორებიც იყვნენ: ლეონიდ ბრეჟნევი, იური ანდროპოვი, კონსტანტინე ჩერნენკო, მიხეილ გორბაჩოვი და ბორის ელცინი.

1970-90-იან წლებში ქ. თბილისში და ქ. მოსკოვში ვმუშაობდი სადოქტორო დისერტაციაზე, რომელიც ერთხმად დავიცავი ქ. მოსკოვში აკად. ა. მიასნიკოვის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტში 1990 წელს.

1971 წელს ქ. თბილისში აკად. მ. წინამძღვრის მიხედვით, კარდიოლოგიის ინსტიტუტში მუშაობის დროს დამინიშნეს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარედ.

1972 წელს კარდიოლოგიის ინსტიტუტში დამინიშნეს სწავლულ მდივნად.

1998-2005 წწ. ამირჩიეს მოკარდიუმის ინფარქტის განყოფილებაში ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის განყოფილების ხელმძღვანელად.

2005 წლიდან დღემდე ვარ შ.პ.ს. „კარდიო-რეანიმაციული ცენტრის“ დირექტორი.

2005 წლიდან შ.პ.ს. „კარდიო-რეანიმაციული ცენტრი“ მონაწილეობდა და დღემდე მონაწილეობს წამლის საერთაშორისო მეცნიერულ კლინიკურ კვლევებში. ერთ-ერთი პირველი კლინიკური კვლევა HERO-2 შეეხებოდა გულის მწვავე ინფარქტით დაავადებულ პაციენტებს.

გამოქვეყნებული მაქვს 60 სამეცნიერო ნაშრომი რესპუბლიკის და საერთაშორისო სამედიცინო გამოცემებში. გამოცემული მაქვს 5 მეთოდური რეკომენდა-

ცია კარდიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

ვარ 5 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი.

2015 წლიდან დღემდე ვმუშაობ აკად. ნიკოლოზ ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის კარდიო-ქირურგიის დეპარტამენტის ექიმ კონსულტანტად, სადაზღვევო კომპანიებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობის მენეჯერად.

2017 წლის 25 დეკემბერს ამირჩიეს საქართველოს პუბლიკურ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად-აკადემიკოსად.

მე მინდა გავაკეთო მოკლედ რეზიუმე. ჩემი აზრით, ფარიკაობა სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც არ უშლის ხელს სწავლას და მეცნიერებას. თუ ავიღებთ შეჯიბრებებზე მონაწილეობას, ფარიკაობა სხვა სპორტის სახეობებისგან განსხვავებით (მაგ: ჩოგბურთი, ფეხბურთი და ა.შ.) ძალიან ხანმოკლე დროს გაკარგინებს მოგზაურობით და შეჯიბრებაში მონაწილეობით. განავითარებს სწრაფ აზროვნებას და სისწრაფეს. ფარიკაობის შეჯიბრების დროს თითო ბრძოლა გრძელდება 5 წუთი. ღრის განმავლობაში შენ ხედე 15-20 სხვადასხვა მოწინააღმდეგეს და ყველას უნდა მოუნახო სხვადასხვა სუსტი წერტილი, რომ მიაყენო ჩხველვა და მოიგო ბრძოლა. ფარიკაობას მე ხშირად ვადარებ გულის ინფარქტით დაავადებულ ავადმყოფს, იქაც აუცილებელია წამლებში მიიღო გადაწყვეტილება. გულის გაჩერების დროს საჭიროა სასწრაფოდ გულის მასაჟის და დეფიბრილიაციის ჩატარება, დროის დაკარგვა სიკვდილის ტოლფასია.

რაც მთავარია, ჩემს მაგალითზე, ასაკის მიუხედავად, თუ ზომიერად ფარიკაობ, დარბიხარ, ცურავ, თამბაქოს არ ეწევი, ალკოჰოლურ სასმელებს არ ეტანები, მუდმივად ფორმაში ხარ, შეგიძლია ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე ყოველწლიურად მიიღო მონაწილეობა, ასახელო შენი სამშობლო და გახდე ჩემპიონი ვეტერანებს შორის. განსაკუთრებით ძალიან ამაღელვებელია როცა დაჯილდოვების დროს აფრიალდება დროშა და დაიკრება საქართველოს ჰიმნი. ძალიან საინტერესოა, აგრეთვე, რომ ფარიკაობა სპორტის ის სახეობაა, რომელშიც ყოველწლიურად ატარებენ მსოფლიო ჩემპიონატებს, ისევე როგორც ეს ხდება სპორტის მხოლოდ ხუთ სახეობაში: ფარიკაობის გარდა ცურვაში, ჭიდაობაში, ძიუდოში და კალათბურთში.

ჩემი აზრით ახლაგაზრდა თაობისათვის ეს კარგი მაგალითია.

რეზიუმე

ფარიკაობის ბავშვნა აღზრდის როგორცაა, მის ჯანმრთელობაზე და ცხოვრების სტილზე

ნ. ანდრიადზე (საქართველოს პუბლიკურ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია)

ფარიკაობა სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც არ უშლის ხელს სწავლას და მეცნიერებას. რაც მთავარია, ასაკის მიუხედავად, თუ ზომიერად ფარიკაობ, დარბიხარ, ცურავ, თამბაქოს არ ეწევი, ალკოჰოლურ სასმელებს არ ეტანები, მუდმივად ფორმაში ხარ, შეგიძლია ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე ყოველწლიურად მიიღო მონაწილეობა, ასახელო შენი სამშობლო და გახდე ჩემპიონი ვეტერანებს შორის.

SUMMARY

INFLUENCE OF FENCING ON HUMAN ORGANISM, HEALTH AND LIFE-STYLE

N. ANDRIADZE (Academy of Georgian humanitarian and art science)

Fencing is a type of sport that does not interfere with education and science. It is important that despite the age, if you're decent at fencing, try to always be in shape, run, swim, don't smoke and drink alcohol, you can always participate in European and world cup competitions, honor your country and become champion among other veterans.

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია
EUROSCIENCE GEORGIAN NATIONAL SECTION



აპიკაზატი და აპივიტი თიმომატალით მიმდინარე ბრონქოპნევმონიების მკურნალობაში

ბ. ჩახუნაშვილი; ღ. ტაბუკაძე

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი, თსუ პედიატრიული კლინიკა, ირ. ციციშვილის სახ. პედ. კლინიკა, თსუ აფილირებული კლინიკა "ბაზი"

თიმუსს, ადაპტაციური მექანიზმების განვითარებასა და რეაქტულობის ჩამოყალიბებაში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს (1,2).

ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედები, თიმუსისა და მისი მიკროგარემოს გავლენით ტრანსფორმირდება თ-ლიმფოციტებად, რომლებიც მიგრირებენ პერიფერიულ ორგანოებში და ანხორციელებენ იმუნოლოგიურ ზედამხედველობას (4,7,8).

ავტორთა მონაცემებით, საკმაოდ დიდი თიმომეგალიის, როგორც პრემორბიდული ფონის გავლენა პნევმონიების მიმდინარეობასა და გამოსავალზე. თიმომეგალიის დროს ჰორმონალურ ჰომეოსტაზში გამოვლენილი ფუნქციური ცვლილებები, განაპირობებს ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების დარღვევას, განსაკუთრებით სტრესული სიტუაციის დროს, რაც ამ ბავშვებზე დიფერენცირებული დაკვირვების აუცილებლობაზე მეტყველებს (3,5,6,9).

ამ თვალსაზრისით, პერსპექტიულია აპიკაპატის და აპივიტის ჩართვა თიმომეგალიით მიმდინარე ბრონქოპნევმონიების მკურნალობის კომპლექსში.

აპიკაპატი წარმოადგენს ბუნებრივ, ნატურალურ მცენარეულ კომპონენტთა ჯამს: წიწვოვანის ექსტრაქტის, ფუტკრისა და ყურძნის პროდუქტების ნახავს, რომელიც შეიცავს: ამინომჟავების 22 სახეობას (20% პროტეინის ალბუმინებისა, xIT, vitaminebs (A, B1, B2, B5, B6, C, D, PP, E, K, ფოლის მჟავა), ბიოტინის, რუტინის, ბეტა-სიტოსტერინის (ფოსფორტერინი), მიკროელემენტებს (Fe, Ca, Mg, Zn, Cu,), გლიკოზიდებს, ქლოროფილს, ცხიმოვან მჟავებს.

ის ზრდის ორგანიზმის ფიზიკურ და გონებრივ შრომისუნარიანობას;

აწესრიგებს ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების ცვლას, ჟანგვა-აღდგენით პროცესებს; პრეპარატში შემავალი ამინომჟავები ადვილად ათვისებულია, რაც ხელს უწყობს აზოტოვანი ბალანსის შენარჩუნებას და უზრუნველყოფს ორგანიზმის ზრდისა და განვითარების პროცესებს; გააჩნია იმუნომოდულაციური, იმუნომასტიმულირებელი და ანტი-მიკრობული თვისებები; აპივიტის მონაცემებიც დღეისათვის უკვე ნაცნობია.

მოცემული შრომის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა იმუნოლოგიური მანევრებლების დინამიკა თიმომეგალიით მიმდინარე ბრონქოპნევმონიების დროს ბავშვებში აპიკაპატით და აპივიტით კომპლექსური მკურნალობის ფონზე.

მასალა და მეთოდები:

ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა 2000-2018 წწ-ში ჰოსპიტალიზირებული და ამბულატორიული (თსუ პედიატრიული კლინიკა, ირ. ციციშვილის სახ. პედ. კლინიკა, თსუ აფილირებული კლინიკა "ბაზი") გამოკვლეულ პაციენტები.

2. ბავშვებსა და მოზარდებში დადგენილია სომატოფორმული აშლილობების სხვადასხვა კლინიკური გამოვლინება, რაც მათი ასაკობრივი და სქესობრივი ემოციურ-ფსიქოგენური ფაქტორების თავისებურებით აიხსნება. ასაკთან მიმართებაში სისხირის კლებით ხასიათდება ფობია, დამის ენურეზი და დღის ენკოპრეზი. ვაჟებსა და გოგონებში სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ვლინდება დისოციაციურ (კონვერსიული) დარღვევების, ენაბორძიკის და არა-ეპილეფსიური პაროქსიზმის შემთხვევაში, რომელთაგან პირველი ორი დამახასიათებელია ვაჟებისთვის, ხოლო არაეპილეფსიური პაროქსიზმი – გოგონებისთვის.

პათოლოგიური ინტერნეტადმოკიდებულება ვაჟებსა და გოგონებში დამისა და დღის რეჟიმის დარღვევით ხასიათდება, რაც ნევროტული აშლილობების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია. აღინიშნება მონო- და პოლისიმპტომური სომატოფორმული დარღვევები. მონოსიმპტომური სომატოფორმული დარღვევებისას ჩივილები მცირე და სტაბილურია, პოლისიმპტომურის დროს – ჩივილები არამუდმივია და ხშირად დრამატულ ხასიათს ატარებს.

3. სომატოფორმული და სხვა ნევროტული აშლილობების დროს ბავშვებსა და მოზარდებში გონებრივი დეფიციტი მსუბუქი ხასიათისაა და ეხება ვერბალურ ინტელექტს. ნეიროფსიქოლოგიური სიმპტომატიკა ძირითადად ტიკური პიპერკინეზის, ენაბორძიკის, არაეპილეფსიური პაროქსიზმისა და დღისა და ღამის რეჟიმის დარღვევის დროს აღინიშნება. პაციენტების, უმეტესად ვაჟების, თვითშეფასება დაბალია, ოჯახში იზოლაციის, გარემოულობისა და აგრესიულობის მაჩვენებლები, რაც განსაკუთრებით გამოხატულია განქორწინებული, კონფლიქტური ოჯახის შვილებში, განსხვავებით სრული ოჯახის პაციენტებისაგან.

4. არსებული სომატოფორმული ჩივილების უკან, ზოგ შემთხვევაში ნერვული სისტემის ორგანული დაზიანება ან სხვა ნოზოლოგიური ერთეული ინიღბება. ზოგჯერ, პრაქტიკულად ჯანმრთელ ბავშვებში, მიზანმიმართული კვლევის შედეგად ვლინდება სომატოფორმული აშლილობების სხვადასხვა ფორმა.

5. სომატოფორმული და სხვა ნევროტული აშლილობების მქონე პაციენტების მართვაში პირველ ეტაპზე არ უნდა განიხილებოდეს მედიკამენტური თერაპია. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფსიქოსოციალურ ადაპტაციასა და ფსიქოთერაპიული მეთოდების გამოყენებას მშობლების, მასწავლებლებისა და ფსიქოლოგების აქტიური ჩართვით. დროული ჩარევის შედეგად სომატოფორმული დარღვევები ბავშვებსა და მოზარდებში მეტწილად შექცევადია.

ჩვენს მიერ შედგენილია შემდეგი პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. გამოვლენილი სომატოფორმული აშლილობები აუცილებელს ხდის ბავშვისა და მოზარდის ადრეული ანამნეზის, კონსტიტუციური თავისებურებისა და სოციუმის შესწავლას; განსაკუთრებულ ყურადღებასა და კონტროლს საჭიროებენ ეკრანადმოკიდებული ბავშვები.
2. სომატოფორმული აშლილობების ზოგ შემთხვევაში საჭიროა პაციენტის მიზანმიმართული კვლევა სხვადასხვა სომატური ან ორგანული ნევროლოგიური სინდრომების გამოსარიცხად.
3. სომატოფორმული დარღვევების ადრეული დიაგნოსტიკისათვის საქართველოს ბალებსა და სკოლებში სასურველია კვალიფიციური ფსიქოლოგების კონსულტაციის დანერგვა და შესაბამისი გაიდლაინების შემუშავება.

ლიტერატურა:

1. გაგოშიძე თ. ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. თბილისი. 2007, 334გვ.
2. მხეიძე რ. კითხვის პროცესის შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლები. ანთოლოგია III ტომი. გამოცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2014, გვ. 333-335.
3. საყვარელიძე რ. ფსიქოლოგია საქართველოში: გუშინ, დღეს, ხვალ. ფსიქოლოგიის მაგნ. დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო აღმანახი. გამოც.: „მწიგნობარი“. თბილისი. 2013წ.
4. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგიის შრომები. თბილისი, 1964წ. ტ. III-IV.
5. Danaher I. An Examination of both Linear and Non-Linear Associations of adolescent Alcohol Consumption as a Risk Factor for Psychological Distress and Depressive Symptoms. Deakin University 2016, 371p.
6. Bibby H., Sampson S., Bennett D., Hoffman R., and Towns S. What are They Thinking? The Role of Family Health Beliefs in the Treatment of Adolescent Somatoform Disorders, Journal of adolescent health, 2010, 46:2, pp. 46-47.
7. Brookshire B. L. et. al. – Cognitive and linguistic of children discourse after closed head injury A. three year follow-up. J. Int Neuropsychol. Soc. 2000, 6: 741-51.
8. Carli V. et al. Psychopathology, 2013; 46 (1): 1-13.
9. Fritz G., Fritsch S. et al. Somatoform disorders in children and adolescents: a review of past 10 years. Journal of America Academy of Child and Adolescent Psychiatry 1997; 36(10); 1329-1338.
10. Kim N., Hwang SS-H, Choi J-s et al. Characteristics and Pshychiatric Symptoms of Internet Gaming Disorder among Adults; Using Self-Reported DSm-5 Criteria. Psychiatry Investigation. 2016; 13(1) 58-66.
11. Metrick M., Ritter F. et al. Nonepileptic events in childhood. epilepsy 1991; 32:322-328;
12. Ringman J. M. et al. Occurrence of tics in Asperger's Syndrome and Autistic Disorders. J. Child. Neurol. 2000. 15:394-400.
13. Боброва М. А. Когнитивные нарушения при соматоформном синдроме (сборник статей Всероссийской Школы Молодых ученых в область психического здоровья). Суздаль. 2009. стр.26.
14. Исаев Д.Н. – Психосоматическая медицина детского возраста. 1996; СПб.– 148с.
15. Собенников В.С. Соматизация и соматоформные расстройства. Иркутск. 2014; 309.
16. 218.Собчик Л.Н. Модифицированный восьмицветовой тест Люшера. www.Koob.ru/sobchik/Kusher_test.

რეზიუმე

ბავშვთა და მოზარდთა სომატოფორმული აშლილობების მართვა

ნ.გელაძე; მ.ხუნდაძე; რ.მხეიძე; ნ.ხაჩაპურიძე; ს.ბახტაძე; ნ.კაპანაძე; გ.არველაძე
(თსუ-ის ბავშვთა ნეოლოგიის დეპარტამენტი)

სომატოფორმული დარღვევები (Briquet-ის სინდრომი) მიეკუთვნება დაავადებათა ჯგუფს, რომლის ეტიოლოგიური ფაქტორის დადგენა, ხშირ შემთხვევაში, გაძნელებულია და არ შეესაბამება პაციენტის ფუნქციური დარღვევების სიმძიმეს. ბავშვებში სომატოფორმული დარღვევები ხასიათდება კლინიკური გამოვლინების მრავალფეროვნებით, ხშირია და ზოგჯერ ატარებს ტრანზიტორულ ხასიათს.

მნიშვნელოვანია, რომ შედგენილია პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. სომატოფორმული აშლილობები აუცილებელს ხდის ბავშვისა და მოზარდის ადრეული ანამნეზის, კონსტიტუციური თავისებურებისა და სოციალური შესწავლას; განსაკუთრებულ ყურადღებასა და კონტროლს საჭიროებენ ეკრანდამოკიდებული ბავშვები.
2. სომატოფორმული აშლილობების ზოგ შემთხვევაში საჭიროა პაციენტის მიზანმიმართული კვლევა სხვადასხვა სომატური ან ორგანული ნევროლოგიური სინდრომების გამოსარიცხად.
3. სომატოფორმული დარღვევების ადრეული დიაგნოსტიკისათვის საქართველოს ბაღებსა და სკოლებში სასურველია კვალიფიციური ფსიქოლოგების კონსულტაციის დანერგვა და შესაბამისი გადღიანების შემუშავება.

SUMMARY

MANAGEMENT OF SOMATOFORM DISORDERS IN CHILDREN AND ADOLESCENTS

N.GELADZE, M.KHUNDADZE, R.MXEIDZE, N.KHACHAPURIDZE, S.BAKHTADZE, N.KAPANADZE, GARVELADZE.
Tbilisi State Medical University, Child Neurology Department

Somatoform disorders in children and adolescents are vastly expanded problem in neuropsychological field. They vary in nature and frequency. They could be classified as medically unexplained symptoms, and has psychological causes. The study showed the individuals that are mentally unstable often develop somatoform disorders. Disease development such as somatic disorders may cause psychological stressors. Contemporary, hectic lifestyle, rapid technological development, internet dependence, social interactions, general tense environment, family conflicts, cultural and economical factors are major stressors causing somatoform disorders in children and adolescents.

Aim of the study.

The study aimed assess somatoform and other neurological disorders in children and adolescents, in order to recognize the medically unexplained symptoms and find adequate treatment approach.

In 2014-2017 the study investigated 200 patients aged from 2 to 18 with following symptoms: coercive disorders – 39, tics – 35, phobias – 24, speech impairment – 34, night enuresis – 20, daily encopresis – 11, confused day and night regime – 36, non-epileptic seizures – 23, internet gambling – 3-5 hours a day – 20, more than 5 hours a day with 54 patients respectively. The control group presented with 30 healthy children and adolescents aged from 2 – 18 years. The patients were examined in Givi Zhvania Academic clinic of Pediatrics at the department of neurology and psychology Tbilisi State Medical University and as well at the neuropsychology Institute. Neurologists and psychologists examined all patients participating in a study. In certain cases pediatricians, oculists, cardiologists, endocrinologists, psychiatrists, and genetics also examined these patients. All patients undertook the lab test on urine and general blood test. In case of seizures in blood test was measured the prolactin level.

Conclusions

1. Somatoform disorders in children and adolescents are psychological problems. In the development of these disorders plays role multiple factors: genetics, epigenetics, and pathology during perinatal period, children's constitutional individuality and social environment.

2. Children and adolescents express differences in somatoform disorders. The ways of expressing somatoform disorders depends on patient's age, sex and their individual psychoemotional sphere.

The findings showed with the age declines phobias, night enuresis, and daily encopresis. The gender differences in somatoform disorders are dissociative (coercive) disorders, speech impairment, and non-epileptic seizures. The first two are common for boys, whereas non-epileptic seizures are common for girls. Pathological internet gambling caused disturbance of day and night regime for both girls and boys similarly, which are high risk factors for developing neurosis. There are distinguished multiple symptom somatoform disorders and mono symptom concerns are minor and stable, whereas multiple symptom somatoform disorders are unstable and acute.

3. In children and adolescents somatoform and other neurotic disorders follow with mild intellect impairment and, especially reveals on verbal tasks. Neuropsychological symptoms mainly are tic-hyperkinesia, speech impairment, non-epileptic seizures, and disturbance of day and night regime. Boys, especially showed low self-esteem, aggressive feelings felt lonely and isolated from their family members. These problems are severely expressed in conflict and divorced families.

4. Somatoform symptoms sometimes may hide organic disease. Otherwise, organically healthy children have series of somatoform symptoms.

5. Clinicians treating somatoform disorders at first place should not consider pharmacological treatment, but psychological adaptation of a patient. In psychological adaptation of a patient should be involved patients parents and teachers with the guide of qualified psychologist and psychotherapist. Further, psychotherapy and psychological treatment should be considered as follows.

PRATICAL RECOMMENDATIONS:

1. Clinicians require gathering early patients history of children and adolescents with somatoform disorders, considering constitutional individuality, and social environment. Special attention and care require children with pathological Internet gambling;

2. In certain cases patients with somatoform disorders require additional care to exclude various somatic and neurological syndroms.

3. In order, at an early to recognize somatoform and other neurological disorders is recommended to employ in schools and kindergarten classified psychologists and develop relevant protocols and guidelines.

ANCA ასოცირებული გლომერულონეფრიტი ბავშვებში

თ. ბაჩქილაძე, მ.ცანავა, ბ.ჩიტაია, თ. აბულაძე, ღ.პირიკველია, ნ.პირიკველია.
ი. ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა, თბილისი, საქართველო

რეზიუმე. ანტინეიტროფილურ ციტოპლაზმურ ანტისხეულებთან (ANCA) ასოცირებული ვასკულიტები (აავ) დაავადებათა ჯგუფია, რომელსაც ახასიათებს მცირე და საშუალო კალიბრის სისხლძარღვების ნეკროზული ანთება. ანთებას განაპირობებს ნეიტროფილების ციტოპლაზმის წინააღმდეგ წარმოქმნილი აუტოანტისხეულები. დაავადებათა უმრავლეს შემთხვევაში იმუნური დეპოზიტები ან არ ვლინდება, ან მცირე რაოდენობით გვხვდება, სწორედ ამიტომ წარმოიშვა ტერმინი – „პაუციმიუნური“ ვასკულიტი. ამ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება: გრანულომატოზი პოლიანგიოზით (აღრე ცნობილი როგორც ვეგენერის გრანულომატოზი), მიკროსკოპული პოლიანგიოზი და ეოზინოფილური გრანულომატოზი პოლიანგიოზით (აღრე ცნობილი როგორც ჩარჯ-შტრაუსის სინდრომი). ANCA ასოცირებული ვასკულიტები ქრონიკული, ხშირად რეციდივებით მიმდინარე დაავადებებია, რომელთა შემთხვევაში იმუნოსუპრესიის მიუხედავად ავადობა და სიკვდილიანობა მაინც მაღალი რჩება. თირკმელი ვასკულური ორგანოა და შესაბამისად სხვადასხვა სისტემური ვასკულიტის დროს სამიხე ორგანოა, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც მცირე კალიბრის სისხლძარღვებს აზიანებენ. თირკმელში პირველადი დაზიანების ადგილი გლომერულებია, ამიტომ ყველაზე ხშირი კლინიკური გამოვლინება გლომერულონეფრიტია. ყველაზე მეტად დამახასიათებელი დაზიანება არის პაუციმიუნური ფოკალური და სეგმენტური მანეკროზებული და კრეშენტული გლომერულონეფრიტი. პაუციმიუნური ვასკულიტები ჩვეულებრივ ასოცირებულია მოცირკულირ ANCA ანტისხეულებთან. გლომერულონეფრიტი შეიძლება განვითარდეს დაავადების ექსტრარენალური გამოვლინებების გარეშეც. მხოლოდ თირკმლის დაზიანებით მიმდინარე ვასკულიტი ANCA ასოცირებული ვასკულიტის ერთ-ერთი ტიპია, რომელიც მიმდინარეობს სწრაფად პროგრესირებადი (კრეშენტული) გლომერულონეფრიტით და ამ დროს სხვა ორ-

განოვების დაზიანების ნიშნები არ ვლინდება. ANCA-ასოცირებული სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი ჩვეულებრივ ვლინდება ჰემატურიით, პროტეინურიით, ჰიპერკრეატინინემიით. თირკმლის ბიოფსია ამ შემთხვევაშიც დაავადების დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტია“. ANCA ასოცირებული ვასკულიტების მკურნალობა იყოფა სამ ფაზად: პირველადი იმუნოსუპრესია, შემანარჩუნებელი მკურნალობა და რეციდივების მკურნალობა. დღეისათვის არსებული მკურნალობის რეჟიმები შემუშავებულია ძირითადად მოზრდილ პაციენტებზე შესწავლის შედეგად.

შესავალი. ანტინეიტროფილურ ციტოპლაზმურ ანტისხეულებთან ასოცირებული ვასკულიტები (აავ) დაავადებათა ჯგუფია, რომელსაც ახასიათებს მცირე და საშუალო კალიბრის სისხლძარღვების ნეკროზული ანთება, რაც გამოწვეულია ნეიტროფილების ციტოპლაზ-

მის წინააღმდეგ წარმოქმნილი აუტოანტისხეულებით, სახელდობრ, პროტეინაზა-3 (PR3) და მიელოპეროქსიდაზა (MPO) წინააღმდეგ წარმოქმნილი ანტისხეულები. ამ ჯგუფს მიეკუთვნება:

1. გრანულომატოზი პოლიანგიოზით (აღრე ცნობილი როგორც ვეგენერის გრანულომატოზი).

2. მიკროსკოპული პოლიანგიოზი.

3. ეოზინოფილური გრანულომატოზი პოლიანგიოზით (აღრე ცნობილი როგორც ჩარჯ-შტრაუსის სინდრომი).

აავ არის ქრონიკული, ხშირად რეციდივებით მიმდინარე დაავადებათა ჯგუფი, რომელიც შეიძლება იყოს სიცოცხლისთვის საშიფათო. თანამედროვე იმუნოსუპრესიული რეჟიმების შედეგად აავ-ის პროგნოზი დრამატულად გაუმჯობესდა, მაგრამ დაავადებასთან და მკურნალობასთან ასოცირებული სიკვდილიანობა მაინც მაღალი რჩება. პედიატრიული აავ-ის დროს თირკმლის დაზიანება იწვევს თირკმლის

ცხრილი 1. ვასკულიტების კლასიფიკაცია

ANCA ასოცირებული ვასკულიტი	მანეკროზებული ვასკულიტი, იმუნური კომპლექსების არ არსებობით ან მცირე რაოდენობის არსებობით, უპირატესად მცირე კალიბრის სისხლძარღვების დაზიანებით (კაპილარები, ვენულები, არტერიოლები, პატარა არტერიები), ასოცირებული PR3-ANCA ან MPO-ANCA-თან. ყველა პაციენტს არ აქვს ANCA, ამ შემთხვევაში ემატება ANCA რეაქტიულობის მაჩვენებელი. მაგ. R3-ANCA, MPO-ANCA და ANCA ნეგატიური.
მიკროსკოპული პოლიანგიოზი	მანეკროზებული ვასკულიტი, იმუნური კომპლექსების არ არსებობით ან მცირე რაოდენობის არსებობით, უპირატესად მცირე კალიბრის სისხლძარღვების დაზიანებით (კაპილარები, ვენულები, არტერიოლები, პატარა არტერიები). შეიძლება გამოვლინდეს მცირე და საშუალო კალიბრის არტერიების მანეკროზებული არტერიტი. მანეკროზებული გლომერულონეფრიტი ყველაზე ხშირია. ხშირად ვითარდება პულმონარული კაპილაროზი. გრანულომატოზური ანთება არ ვლინდება.
გრანულომატოზი პოლიანგიოზით	მანეკროზებული გრანულომატოზური ანთება, ჩვეულებრივ მოიცავს ზედა და ქვედა რესპირატორულ ტრაქტს და მანეკროზებული ვასკულიტი, რომელიც ჩვეულებრივ აზიანებს მცირე და საშუალო კალიბრის სისხლძარღვებს (კაპილარები, ვენულები, არტერიოლები, არტერიები, ვენები). მანეკროზებული გლომერულონეფრიტი ხშირია.
ეოზინოფილური გრანულომატოზი პოლიანგიოზით	ეოზინოფილებით მდიდარი და მანეკროზებული გრანულომატოზური ანთება, რომელიც ხშირად მოიცავს რესპირატორულ ტრაქტს და მანეკროზებული ვასკულიტი, უპირატესად მცირე და საშუალო კალიბრის სისხლძარღვების დაზიანებით, ასოცირებული ასთმასთან და ეოზინოფილიასთან. ANCA უფრო ხშირია, როცა გლომერულონეფრიტი ვითარდება.

ქრონიკული დაავადების განვითარებას. თანამედროვე მეურნეობის მეთოდები განაპირობებს თირკმლის ფუნქციის გაუმჯობესებას ხანმოკლე დროით, ხანგრძლივ პერსპექტივაში თირკმლის დაზიანებისგან დაცვა ჯერ კიდევ შეუძლებელია.

კლასიფიკაცია. ამერიკის რევმატოლოგთა კოლეჯის მიერ 1990 წელს შემოთავაზებული იქნა ვასკულიტების კლასიფიკაცია. კლასიფიკაციაში არსებული კრიტერიუმები შემუშავდა ANCA-ს ტესტირების გაერცხლებამდე, შესაბამისად მასში რამდენიმე ვასკულიტი ერთმანეთისგან დიფერენცირებული არ იყო (მაგ. კვანძოვანი პოლიარტერიტი და მიკროსკოპული პოლიანგიოიტი). 1994 წელს Chapel Hill Consensus Conference-ის მიერ შემუშავებული იქნა პირველადი სისტემური ვასკულიტების ნომენკლატურა, რომელიც 2012 წელს გადაიხედა და შეიცვალა (ცხრილი 1).

ევროპის ვასკულიტის შემსწავლელი ჯგუფის მიერ შემუშავებული ააგის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები შემდეგია:

- ანამნეზში ქრონიკული ანთებითი დაავადება
- სხვა მიზეზების გამორიცხვა (მაგ. ინფექცია)
- ქსოვილის ბიოფსიით დამახასიათებელი ჰისტოლოგიური ცვლილებები

• და/ან დადებითი ELISA PR3 ან MPO ანტისხეულებისთვის კლასიკური ANCA-ს თანხლებით იმუნოფლოუორესცენციით შესწავლისას.

ეპიდემიოლოგია. ააგ საკმაოდ იშვიათია, მიუხედავად დიაგნოსტიკური საშუალებების დახვეწისა, მისი სიხშირე დღეისათვის მაინც დაუდგენელია მოზრდილ პაციენტებშიც კი. კანადური კვლევის ჯგუფის მიხედვით დადგენილია ყველაზე მაღალი სიხშირე გრანულომატოზი პოლიანგიოიტით 6,39/მილიონ პოპულაციაში, ევროპული მონაცემების მიხედვით იგივე დაავადების სიხშირე არის წელიწადში 1-2 შემთხვევა მილიონ პოპულაციაში. ბავშვებში სიხშირე საერთოდ უცნობია. ცნობილია, რომ ბავშვებში ANCA ასოცირებულ დაავადებათა განვითარების პიკი 7-17 წლის ასაკია (საშუალოდ 12წ).

ეტიოლოგია და პათოგენეზი. მიუხედავად მრავალი ჰიპოთეზის არსებობისა, ააგის ზუსტი პათოგენეზური მექანიზმი უცნობია. თუმცა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეცვალა წარმოდგენა ANCA ვას-

კულიტების შესახებ. ცხოველების მოდელებში დადასტურა პათოგენეზში ანტინეიტროფილური ციტოპლაზმური ანტისხეულების პირდაპირი როლი.

ANCA პირველად აღწერილ იქნა 1982 წელს. 1985 წლიდან ანტინეიტროფილური ციტოპლაზმური ანტისხეულები დააკავშირეს გრანულომატოზურ პოლიანგიოიტთან. საბოლოოდ დადგინდა მისი კავშირი მიკროსკოპულ პოლიანგიოიტთან და პაუციტიზურ გლომერულონეფრიტთან. ANCA-ს ტესტირება დღეისათვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ვასკულიტების დიაგნოსტიკასა და კლასიფიკაციაში.

ინ ვიტრო და ინ ვივო შესწავლისას დადგენილია, რომ ანტინეიტროფილური ანტისხეულები თვითონვე არიან პათოგენურები. მემბრანასთან დაკავშირებული MPO/PR3 ექსპრესირებულია ნეიტროფილებზე, ANCA უკავშირდება მათ და ეს კავშირი იწყვეს სერინ-პროტეაზას და ციტოტოქსიური სუპეროქსიდების აქტივაციას და გამოთავისუფლებას, ენდოთელიუმის დაზიანების შედეგად იწყება სისხლძარღვების ენდოთელიუმის დეგრანულაცია და ვასკულიტის ჩამოყალიბება.

2004 წელს შემოთავაზებული ახალი კონცეფციის თანახმად, კომპლემენტური PR3-ის (cPR3) წინააღმდეგ წარმოქმნილი ანტისხეულები ზოგიერთი ბაქტერიული პროტეინის ჰომოლოგიურია და PR3-ANCA წარმოიქმნება ანტი – cPR3 ანტისხეულების საპასუხოდ. სხვადასხვა მკვლევარის მიხედვით არსებობს მონაცემები პათოგენეზში LAMP-2, კომპლემენტის ალტერნატიული გზების და CD 134+ T უჯრედების მონაწილეობის შესახებ, რაც განაპირობებს იმუნური პასუხის ჩამოყალიბებას და დაზიანებას.

დაავადების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებში განიხილება გენეტიკური მიზეზები. შემოთავაზებულია პოლიგენური მოდელი, იმ გენების მონაწილეობით, რომლებიც აკოდირებენ იმუნურ პასუხში მონაწილე პროტეინებს.

Willcocks et al. აღწერეს ახალ შობილში განვითარებული გლომერულონეფრიტი და პულმონარული ჰემორაგია, რომელიც განვითარდა MPO-ANCA IgG-ის ტრანსპლაცენტარული პასუხის შედეგად.

პრეპარატები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყო ანტისხეულების ფორმირებას: ანტითიროიდული აგენტები, ჰიდრალაზინი, სულფასა-

ლაზინი, D-პენიცილამინი და სხვ. დაავადების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებად მიიჩნევა პესტიციდები, დიზელი, ინფექციური აგენტები. ლიტერატურაში აღწერილია

პნევმოკოკის და ინფლუენცას საწინააღმდეგო ვაქცინაციის შემდგომ განვითარებული ვასკულიტის შემთხვევებიც.

კლინიკური გამოვლინება და დიაგნოსტიკა. ააგ ხასიათდება ფოკალური მანეროზებული ვასკულიტის განვითარებით, რომელიც აზიანებს მცირე კალიბრის სისხლძარღვებს და შეიძლება სხვადასხვა სიმძიმით დააზიანოს ნებისმიერი ორგანო. ANCA-ასოცირებულ შემთხვევებში ყველაზე ხშირად დაზიანებული ორგანო ფილტი და თირკმელებია (პაციენტთა 70-80%).

თირკმლისმიერი გამოვლინება ჩვეულებრივ არის სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი, რომელიც ხასიათდება ჰემატურიით, პროტეინურიით და ჰიპერკრეატინინემიით. ამ პაციენტებს უვითარდებათ ტიპური მანეროზებული და კრეშენტული გლომერულონეფრიტი. პაციენტთა ძალიან მცირე რიცხვს შეიძლება ჰქონდეს ქვეშეავე დაავადება და თირკმლის ბიოფსიით გამოვლინდეს მხოლოდ გლომერულების სკლეროზი ან ფოკალურად აქტიური დაავადება ნეკროზით და კრეშენტებით. ANCA ასოცირებული გლომერულონეფრიტის მქონე პაციენტების დაახლოებით 75%-ს დაავადების მანიფესტაცია აქვს სისტემური ვასკულიტის სახით. ANCA ასოცირებული კრეშენტული გლომერულონეფრიტის მქონე პაციენტებში შეიძლება მოვლენებით გამოვლინდეს სისტემური ვასკულიტის ნიშნები. ჭოდწორტკ ეტ აღ. აღწერეს 19 შემთხვევა, როცა დაავადების პირველი მანიფესტაცია იყო იზოლირებულად კრეშენტული გლომერულონეფრიტი და დაახლოებით 4-78 თვეში პაციენტებს განვითარდათ სისტემური ვასკულიტი.

სხვა კლინიკური გამოვლინება შეიძლება იყოს ცხელება, მიაღვია, ართრალგია, რაც ხშირად ახლავს მცირე კალიბრის ვასკულიტებს. კანის დაზიანება პურპურის ან ნოდულის სახით, ფოკალური ნეკროზი, დაწყლულება. პერიფერიული ნეიროპათია შეიძლება განვითარდეს ეპინევრული სისხლძარღვების დაზიანების გამო. ცნს-ის დაავადება ჩვეულებრივ ვითარდება მეტინგალური გარსების ჩართვის გამო. პა-

ცხრილი 2.

ლოკალიზებული	ზედა და/ან ქვედა სასუნთქი ტრაქტის დაზიანება, სხვა ორგანოების ჩართვის გარეშე
ადრეული სისტემური	ნებისმიერი ორგანოსთვის საზიანო ან სიცოცხლისთვის საშიში დაავადების გარეშე
გენერალიზებული	თირკმლის ან სხვა ორგანოს სახიფათო დაავადება, კრეატინინი 5,6 მგ/დლ
მძიმე	თირკმლის ან სხვა ორგანოს უკმარისობის განვითარება, კრეატინინი 5,6მგ/დლ
რეფრაქტორული	პროგრესული დაავადება, რომელიც არ პასუხობს გლუკოკორტიკოიდებს და ციკლოფოსფამიდს

ციენტთა თითქმის ნახევარში ვლინდება გასტროინტესტინური სიმპტომები.

ევროპის ვასკულიტის შემსწავლელი ჯგუფის მიერ შემუშავებულია ვასკულიტის სიმძიმის შეფასების კრიტერიუმები (ცხრილი 2), რასაც კლინიკურად მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა მკურნალობის რეჟიმების შემუშავებისათვის.

დიაგნოსტიკა. დეტალური ანამნეზი, გასინჯვა, ლაბორატორიული და რადიოლოგიური კვლევებია საჭირო დიაგნოზის დასასმელად. პირველადი კვლევები მოიცავს: სისხლის საერთო ანალიზი, ანთების მარკერები (ედს, ჩრეაქტიული ცილა), შარდის საერთო ანალიზი, თირკმლის ფუნქციის შესწავლა და გლომერულური ფილტრაციის სიჩქარის გამოთვლა, 24 საათიანი ცილის ექსკრეციის გამოთვლა. კომპლემენტის ტიტრის განსაზღვრა საჭიროა ვასკულიტის დიფერენცირებისთვის. დვიდლის ფუნქციაც უნდა შეფასდეს და გამოირიცხოს ჩეპატიტის არსებობა. დაზიანებული ორგანოს ბიოფსია დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტად რჩება. რადიოლოგიური კვლევებიდან აუცილებელია ჩატარდეს გულმკერდის რენტგენოგრაფია და კომპიუტერული ტომოგრაფია, სასურველია იმუნოსუპრესიული მკურნალობის დაწყებამდე.

ANCA-ს სეროლოგიური აღმოჩენა მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური მარკერია. თუმცა დაახლოებით 10% შემთხვევაში პაციენტებს აქვთ პაუციმიუნური კრეშენტული გლომერულონეფრიტის და დაავადების სხვა სახის გამოვლინება, მაგრამ ANCA ნეგატიურია, რაც, რა თქმა უნდა, დაავადებას არ გამოირიცხავს და ასეთ პაციენტებსაც ზუსტად იგივე მკურნალობა უნდა ჩატარდეს, როგორც ANCA პოზიტიურ პაციენტებს. ANCA-ს ტიტრის

ცვლილება კორელირებს დაავადების აქტიუობასთან და შეიძლება გამოვიყენოთ მკურნალობის ეფექტურობის, რეციდივის ან გამწვავების შესაფასებლად.

მორფოლოგიურად პაუციმიუნურ ANCA გლომერულონეფრიტს და ანტი-GBM კრეშენტულ გლომერულონეფრიტს ახასიათებს ერთი და იგივე ნიშნები. მათი განსხვავება სინათლის და ელექტრონული მიკროსკოპით შეუძლებელია და მხოლოდ იმუნოფლუორესცენციული მიკროსკოპი იძლევა დიფერენცირების საშუალებას.

ასევე, იმუნური კომპლექსებით გამოწვეული გლომერულონეფრიტის დროს უფრო მეტი ჰიპერტენზიული ვლინდება პაუციმიუნური კრეშენტული გლომერულონეფრიტისგან განსხვავებით.

წამლებთან ასოცირებული პაუციმიუნური კრეშენტული გლომერულონეფრიტი ჰისტოლოგიურად სხვა ეტიოლოგიების დროს განვითარებული კრეშენტული გლომე-

რულონეფრიტის მსგავსია. ამ შემთხვევაში ANA დადებითია, მაგრამ სისტემური წითელი მგლურას გარეშე.

მკურნალობა. მკურნალობა იყოფა სამ ნაწილად: პირველადი იმუნოსუპრესია, შემანარჩუნებელი მკურნალობა და რეციდივებით მკურნალობა. დაავადების სიმძიმედან და კატეგორიიდან გამომდინარე მოწოდებულია სხვადასხვა სქემა (ცხრილი 3 და 4). ციკლოფოსფამიდისა და კორტიკოსტეროიდების კომბინაცია 75%-ში იწვევს რემისიას 3 თვეში და 90% -6 თვეში.

რანდომიზებული კვლევების სიმცირის გამო არ არსებობს შეთანხმება სამკურნალოდ გამოყენებული გლუკოკორტიკოიდების დოზის შესახებ. ჩვეულებრივ საწყის დოზად ითვლება 1მგ/კგ/დლ დოზის შემდგომი შემცირებით 3 თვის შემდეგ ან რემისიის მიღწევის შემდეგ არაუმცირეს 15-20მგ/დლ. ინტრავენური მეთილპრედნიზოლონი 0,5-1 გ დღეში 3 დღის მანძილზე შეიძლება გამოვიყენოთ საწყის მკურნალობად, აუცილებლად უნდა ვმართოთ სტეროიდების გვერდითი ეფექტები (ჰიპერტენზია, ჰიპერგლიკემია, კატარაქტა, ოსტეოპოროზი, წონის მატება). სტეროიდების შემცირების სხვადასხვა სქემა არსებობს. საწყისი დოზა ჩვეულებრივ გრძელდება 2-4 კვირა, როგორც კი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მიიღწევა, დოზის კლება იწყება ნელა. ბოლო 2 თვე სამიზნე დოზა 20მგ/დლ. სტეროიდებით მკურნალობის საერთო ხანგრძლივობა 6-9 თვეა, მაგრამ 6 თვეზე მეტ ხანს სტეროიდების გამოყენება სასურ-

ცხრილი 3.

დაავადების კატეგორია	საწყისი იმუნოსუპრესია	შემანარჩუნებელი თერაპია
ლოკალიზებული	მეტოტრექსატი და სტეროიდები	დაბალი დოზით სტეროიდი პლუს აზათიოპრინი ან ლეფლუნომიდი ან მეტოტრექსატი
ადრეული სისტემური	მეტოტრექსატი ან ციკლოფოსფამიდი და სტეროიდები	დაბალი დოზით სტეროიდი პლუს აზათიოპრინი
გენერალიზებული	ციკლოფოსფამიდი და სტეროიდები	დაბალი დოზით სტეროიდი პლუს აზათიოპრინი ან მიკოფენოლატმოფეტილი
მძიმე	ციკლოფოსფამიდი და სტეროიდები პლუს პლაზმაფერეზი	დაბალი დოზის სტეროიდი პლუს აზათიოპრინი ან მიკოფენოლატ მოფეტილი
რეფრაქტორული	დეოქსისპერგუალინი, მიკოფენოლატმოფეტილი, ანტი-თიმოციტური გლობულინი ან რიტუქსიმაბი	კონსერვაციული არ არსებობს

ველი არ არის გვერდითი ეფექტების მაღალი სისშირით გამოვლენის გამო. პლაზმაფერეზი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს შემდეგ შემთხვევებში: 1. სიცოცხლისთვის საშიშვლო პულმონარული ჰემორაგია. 2. დაავადების გამოვლენისას დიალიზ-დამოკიდებული თირკმლის უკმარისობა. 3. თანარსებული ანტი-GBM დაავადება.

შემანარუნებელ თერაპიაზე გადასვლა შესაძლებელია რემისიის მიღწევის შემდეგ და ეს მკურნალობა (ცხრილი 5) შეიძლება გაგრძელდეს 12-18 თვის განმავლობაში.

რეფრაქტული დაავადების შემთხვევაში სცადეს ალოგენური ჰემატოპოეტური ღეროვანი უჯრედების გადანერგვა და როგორც იტყობინებიან, ამ მეთოდით შესაძლებელია დაავადების აქტივობის კონტროლი.

რეციდივების მკურნალობას რაც შეეხება: რეციდივად შეიძლება ჩაითვალოს ვასკულიტის ნიშნების ან სიმპტომების განვითარება დაავადების ნაწილობრივი ან სრული რემისიის შემდეგ. რეციდივის სამკურნალოდ შეიძლება გამოვიყენოთ მიკოფენოლატმოფეტილი ან აზათიოპრინი, როგორც მონოთერაპიის სახით, ისე სტეროიდებთან კომბინაციაში. იმ პაციენტებთან კი, რომლებიც იღებდნენ შემანარუნებელ მკურნალობის სახით აზათიოპრინს ან მიკოფენოლატმოფეტილს, შეიძლება ვცადოთ ინტრავენური იმუნოგლობულინის გამოყენება.

პროგნოზი. დაავადება ხასიათდება მაღალი ავადობითა და სიკვდილიანობით. ციკლოფოსფამიდის ერამდე გადარჩენის შანსები თითქმის მინიმუმამდე იყო შემცირებული. ამჟამად პაციენტთა 20%-ს უვითარდება თირკმლის ქრონიკული დაავადების ბოლო სტადია. რეციდივის რისკი 50%-მდეა, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა. დაავადების დასაწყისში პაციენტის ასაკი, თირკმლის ფუნქცია, ნორმალური გლომერულების პროცენტული რაოდენობა, ტუბულოინტერსტიციული დაზიანებების არსებობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დაავადების პროგნოზს.

References:

1. Kaldas A, Warraich I, Prabhakar SS (2013) ANCA Associated Glomerulonephritis_ An In-Depth Review. J Nephrol Ther 4: 147.
2. Lucy A Plumb1 & Louise Oni 2 & Stephen D Marks1 & Kjell Tullus1

diatric anti-neutrophil cytoplasmic antibody (ANCA) -associated vasculitis: an update on renal management. Pediatr Nephrol (2018) 33:25–39

3. Rafeel Syed, Amina Rehman, Gautam Valecha, and Suzanne El-Sayegh. Pauci-Immune Crescentic Glomerulonephritis: An ANCA-Associated Vasculitis. Bio-Med Research International Volume 2015

4. Rao JK, Allen NB, Pincus T (1998) Limitations of the 1990 American College of Rheumatology classification criteria in the diagnosis of vasculitis. Ann Intern Med 129: 345-352.

5. . Hellmich B, Flossmann O, Gross WL, Bacon P, Cohen-Tervaert JW, et al. (2007) EULAR recommendations for conducting clinical studies and/or clinical trials in systemic vasculitis: focus on anti-neutrophil cytoplasm antibody-associated vasculitis. Ann Rheum Dis 66: 605-617.

6. 4. Falk RJ, Jennette JC (1988) Anti-neutrophil cytoplasmic autoantibodies with specificity for myeloperoxidase in patients with systemic vasculitis and idiopathic necrotizing and crescentic glomerulonephritis. N Engl J Med 318:1651-1657.

7. Gómez-Puerta JA, Bosch X (2009) Anti-neutrophil cytoplasmic antibody pathogenesis in small-vessel vasculitis: an update. Am J Pathol 175: 1790-1798.

8. Noriaki Sato1 • Hideki Yokoi1 • Hirotaka Imamaki1,2 • Eiichi Uchino1 • Kaoru Sakai1 • Takeshi Matsubara1 • Tat-

suo Tsukamoto1,3 • Sachiko Minamiguchi4 . Motoko Yanagita. Renal-limited vasculitis with elevated levels of multiple antibodies. CEN Case Rep (2017) 6:79–84

9. Olumide Olatubosun Rowaiye, Mariusz Kuzstal and Marian Klinger. The kidneys and ANCA-associated vasculitis: from pathogenesis to diagnosis Clin Kidney J (2015) 8: 343–350

10. Furuta S, Jayne DR. Antineutrophil cytoplasm antibody-associated vasculitis: recent developments. Kidney Int 2013; 84: 244–249

11. Eisenberger U, Fakhouri F, Vanhille P et al. ANCA-negative pauci-immune renal vasculitis: histology and outcome. Nephrol Dial Transplant 2005; 20: 1392–1399

12. Jennette JC, Falk RJ, Bacon PA et al. 2012 revised International Chapel Hill Consensus Conference Nomenclature of Vasculitides. Arthritis Rheum 2013; 65: 1–116. Ntatsaki E, Carruthers D, Chakravarty

13. M Yates,1,2 R A Watts,2,3 I M Bajema,4 M C Cid,5 B Crestani,6 T Hauser,7 B Hellmich,8 J U Holle,9 M Laudien,10 M A Little,11 R A Luqmani,12 A Mahr,13 P A Merkel,14 J Mills,15 J Mooney,1 M Segelmark,16,17 V Tesar,18 K Westman,19 A Vaglio,20 N Yalçındağ,21 D R Jayne,22 C Mukhtyar1 . EULAR/ERA-EDTA recommendations for the management of ANCA-associated vasculitis.

ცხრილი 4.

იმუნოსუპრესიისთვის გამოყენებული პრეპარატები და მათი დოზები

პრეპარატი	დოზა	სხვა
ციკლოფოსფამიდი	ივ პულსი: 0,75გ/მ ² 3-4 კვირა (15მგ/კგ 2 კვირაში ერთხელ 3 პულსი, შემდეგ 3 კვირაში ერთხელ 3-6 პულსი).	ორალური ციკლოფოსფამიდი 2მგ/კგ/დღ შეიძლება გამოვიყენოთ
პრედნიზოლონი	60 მგ/დღ 1 თვე, შემდეგ შემცირებით 15მგ/დღ-მდე 3 თვე	ივ მეთილპრედნიზოლონი 500-100მგ/დღ 3 დღე კრიტიკული მანიფესტაციის დროს
რიტუქსიმიბი	375 მგ/მ ² კვირაში 4 პულსი	გამოიყენება ციკლოფოსფამიდის აუტანლობის ან ახალგაზრდა პაციენტების შემთხვევაში
პლაზმაფერეზი	60 მლ/კგ სითხის ჩანაცვლება.	გამოიყენეთ კრიტიკული მანიფესტაციების დროს (კრეატინინი >5,6მგ/დღ ან პულმონარული ჰემორაგია)
მეტოტრექსატი	საწყისი დოზა 15მგ/კვირაში, გაზრდა 20-25 მგ-მდე კვირაში 2 თვე.	გამოიყენეთ არაკრიტიკული მანიფესტაციების დროს (კრეატინინი ნორმა როცაა)
მიკოფენოლატმოფეტილი	2გ/დღ	თირკმლის საშუალო დაზიანებით მიმდინარე პაციენტებში, რომლებიც ვერ იღებენ ციკლოფოსფამიდს

რეზიუმე

ANCA ასოცირებული გლომერულონეფრიტი ბავშვებში

თ. ბაჩჩილაძე, მ.ცანავა, ბ.ჩიტაია, თ. აბულაძე,
დ.კვირკველია, ნ.კვირკველია.

ი. ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა, თბილისი, საქართველო.

ანტინეიტროფილურ ციტოპლაზმურ ანტისხეულებთან (ANCA) ასოცირებული ვასკულიტები (AAV) დაავადებათა ჯგუფია, რომელსაც ახასიათებს მცირე და საშუალო კალიბრის სისხლძარღვების ნეკროზული ანთება. ანთებას განაპირობებს ნეიტროფილების ციტოპლაზმის წინააღმდეგ წარმოქმნილი აუტოანტისხეულები. დაავადებათა უმრავლეს შემთხვევაში იმუნური დეპოზიტები ან არ ვლინდება, ან მცირე რაოდენობით გვხვდება, სწორედ ამიტომ წარმოიშვა ტერმინი – „პაუციმუნური“ ვასკულიტი. ამ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება: გრანულომატოზი პოლიანგიიტით (აღრე ცნობილი როგორც ვეგენერის გრანულომატოზი), მიკროსკოპული პოლიანგიიტი და ეოზინოფილური გრანულომატოზი პოლიანგიიტით (აღრე ცნობილი როგორც ჩარჯ-შტრაუსის სინდრომი). ANCA ასოცირებული ვასკულიტები ქრონიკული, ხშირად რეციდივებით მიმდინარე დაავადებებია, რომელთა შემთხვევაში იმუნოსუპრესიის მიუხედავად ავადობა და სიკვდილიანობა მაინც მაღალი რჩება. თირკმელი ვასკულური ორგანოა და შესაბამისად სხვადასხვა სისტემური ვასკულიტის დროს სამიზნე ორგანოა, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც მცირე კალიბრის სისხლძარღვებს აზიანებენ. თირკმელში პირველადი დაზიანების ადგილი გლომერულებია, ამიტომ ყველაზე ხშირი კლინიკური გამოვლინება გლომერულონეფრიტია. ყველაზე მეტად დამახასიათებელი დაზიანება არის პაუციმუნური ფოკალური და სეგმენტური მანეკროზები და კრემჩენტული გლომერულონეფრიტი. პაუციმუნური ვასკულიტები ჩვეულებრივ ასოცირებულია მოცირკულირ ANCA ანტისხეულებთან. გლომერულონეფრიტი შეიძლება განვითარდეს დაავადების ექსტრარენალური გამოვლინებების გარეშეც. მხოლოდ თირკმლის დაზიანებით მიმდინარე ვასკულიტი ANCA ასოცირებული ვასკულიტის ერთ-ერთი ტიპია, რომელიც მიმდინარეობს სწრაფად პროგრესირებადი (კრემჩენტული) გლომერულონეფრიტით და ამ დროს სხვა ორგანოების დაზიანების ნიშნები არ ვლინდება. ANCA-ასოცირებული სწრაფად პროგრესირებადი გლომერულონეფრიტი ჩვეულებრივ ვლინდება ჰემატურიით, პროტეინურიით, ჰიპერკრეატინინემიით. თირკმლის ბიოფსია ამ შემთხვევაშიც დაავადების დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტია“. ANCA ასოცირებული ვასკულიტების მკურნალობა იყოფა სამ ფაზად: პირველადი იმუნოსუპრესია, შემანარჩუნებელი მკურნალობა და რეციდივების მკურნალობა. დღეისათვის არსებული მკურნალობის რეჟიმები შემუშავებულია ძირითადად მოზრდილ პაციენტებზე შესწავლის შედეგად.

SUMMARY

ANCA-ASSOCIATED GLOMERULONEPHRITIS IN CHILDREN

Authors: T.GACHECHILADZE, M.TSANAVA, G. CHITAIA,
T. ABULADZE, D.KVIRKVELIA, N.KVIRKVELIA.

The anti-neutrophil cytoplasmic antibody (ANCA)-associated vasculitides (AAV) are a group of disorders characterized by necrotizing inflammation of the small to medium vessels in association with autoantibodies against the cytoplasmic region of the neutrophil. In a majority of such disorders there are a few or no immune deposits and hence the term – “pauci immune vasculitis”. The three main conditions included in this group include microscopic polyangiitis, Granulomatosis with polyangiitis (GPA) – formerly known as Wegener’s granulomatosis, and Eosinophilic Granulomatosis with Polyangiitis (EGPA)-formerly known as Churg-Strauss Syndrome. The kidneys are vascular organs and therefore are targets for different types of systemic vasculitides, in particular those affecting small vessels. The primary renal sites for small-vessel vasculitides are the glomeruli therefore, the most common clinical presentations are those of glomerulonephritis. The characteristic kidney lesions in these conditions are pauci-immune focal and segmental necrotizing and crescentic glomerulonephritis (NCGN). Active pauci-immune small vessel vasculitis is typically associated with circulating ANCA antibodies (ANCA vasculitis). NCGN may also occur without extra renal manifestations of disease. Renal-limited vasculitis (RLV) is a type of anti-neutrophil cytoplasmic antibody (ANCA)-associated vasculitis that presents with rapidly progressive glomerulonephritis (crescentic glomerulonephritis) with no other organ involvement. ANCA associated with rapidly progressive glomerulonephritis usually present with hematuria, proteinuria, and serum creatinine elevation. Renal biopsy remains the ‘gold standard’ in diagnosing ANCA-associated glomerulonephritis. Treatment of AAV can be divided into three phases, initial immunosuppression and subsequent maintenance and third is treatment of relapse. Current treatment regimens are extrapolated from adult studies.

რელაქორაბომია, პოსტოპერაციული რირკოვანი ბარტულეების ღროს

ს.ჯიანი, ე.მონაძე, გ.მცხერიძე, გ.მცხერიძე

ოპერაციის შემდგომ მუცლის ღრუში განვითარებული ჩირქოვანანანთებითი გართულებები სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით საერთო ნაოპერაციებ ავადმყოფთა რიცხვიდან მერყეობს 0.3%-დან 8.6% ოპერაციის შემდგომ ადრეულ გართულებათა შორის ყველაზე ხშირად ინფექციურ-ჩირქოვანი გართულებები ავტორთა მონაცემებით აღნიშნული გართულებები ოპერირებულ ავადმყოფთა შორის შეადგენს 4-5%-ს. უკანასკნელ წლებში როგორც სასწრაფო, ასევე გვე-მიური ოპერაციების შემდეგ აღინიშნება ინფექციურ-ჩირქოვანი გართულებების შემთხვევათა რიცხვის ზრდა და იგი მერყეობს 52.4%-დან. 73%-მდე. ხოლო შაქრიანი დიაბეტთა დაავადებულებებში აღნიშნულ გართულებათა რიცხვი აღწევს 87.2%-ს.

ბოლო 10 წლის პერიოდში ჩვენს კლინიკაში ქალაქის და რესპუბლიკის სხვადასხვა სამკურნალო და-წესებულებიდან ოპერაციის შემდგომ მუცლის ღრუს ინფექციურ-ჩირქოვანი გართულებებით (გართულებების ნიშნების დაწყებიდან მე-3-ე დღიდან 60 დღემდე) გადმოყვანილი იყო 207 ავადმყოფი. მათ შორის გვე-მიური ოპერაცია წარმოებული იყო 104 (50,7% შემთხვევაში). სასწრაფო ოპერაცია გაკეთებული ქონდა 163 (43,3%) ავადმყოფს. ქალი იყო 97 (35,5%), კაცი 110 (64,5%). ასაკის მიხედვით 20 წლამდე გართულება ქონდა 9 ავადმყოფს, რაც სტატისტიკაში მოთავსებულ ავადმყოფთაგან შეადგენს 4%-ს, 25-45 წლამდე 18-ს (8%), 46-60 წლამდე 38-ს. (18,4%), 61 წლიდან 75 წლამდე 42 ავადმყოფს (20%), 76 წლიდან 80 წლამდე 56-ს (22,4%),

ჩვენს მასალაზე ინფექციურ-ჩირქოვანი გართულებები აღინიშნებოდა კუჭის რეზექციის შემდეგ. 27 ავადმყოფს (13%), ქოლიცისტექტომიის შემდგომ 114,5%-ს. მწვეწვე პანკრეატიტის ოპერაციის შემდგომ 19-ს (7,4%), აპენდიციტის შემდეგ 6-ს (23,1%), ნაწ-ლაფთა მწვავე გაუვალობის ოპერაციის შემდეგ 49 ავადმყოფს (22,2%), მუცლის ღრუში შემაჯავლი ჭრი-ლობის ოპერაციის შემდეგ 11 ავადმყოფს (0,5%).

მიღებულმა მონაცემმა ცხადყო, რომ რაც უფრო მეტი ასაკისაა ავადმყოფი მით უფრო ხშირია ინფექ-ციურ-ჩირქოვან გართულებათა რიცხვი. ასე მაგალითად, გართულებათა რიცხვი ახალგაზრდა და საშუ-ალო ასაკში ოპერაციის შემდგომ ინფექციურ-ჩირქო-ვანი გართულებები აღინიშნებათ ნაოპერაციებ ავად-მყოფთა 12%, ხანში შესულ და მოხუცებულ ავადმყო-ფებში კი გართულებები აღინიშნებოდა 42,4 %-ს.

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა ასაკ-ში ინფექციურ-ჩირქოვანი გართულებები ხშირად იყო მწვავე აპენდიციტის ოპერაციის შემდგომ (ხშირად აპენდიციტის დესტრუქციული ფორმების შემდგომ). სა-შუალო ასაკში კუჭის რეზექციის და ქოლეცისტექტო-მიის შემდგომ, ხოლო ხანში შესულ და მოხუცებულ ასაკის პირებში ნაწლაფთა მწვავე გაუვალობის ოპე-რაციის შემდეგ. ამავე ჯგუფში ხშირი და შაქრიანი დი-აბეტით დაავადებულ ავადმყოფთა რიცხვი.

შესწავლილი მასალის ანალიზით დადგენილი იყო, რომ ინფექციურ-ჩირქოვან გართულებათა შორის სიხ-

შრის მიხედვით პირველ ადგილზე აღინიშნება პერი-ტონიტი-61 ავადმყოფი (24,2), შემდეგ მუცლის ღრუს ჩირქოვანა (აბსცესი) ჰქონდა 34-ს (16,3%), მათ შორის ნაწლაფთა შორის აბსცესი 12-ს, სუფლიაფრაგმის აბ-სცესი 7-ს, ღუგლასის ორმოს და ლატირელარული ღარის ჩირქოვანა 13-ს, ღვიძლის აბსცესი 2 ავადმ-ყოფს. ჭრილობის დაჩირქება ნაკერების გახსნით აღე-ნიშნებოდა 11 ავადმყოფს (5,3%). სეფსისი დაუდგინ-და 61-ს (24,1%), ხოლო ჩირქოვანი რეზორული ცხე-ლება 46-ს (21,91%). ტოქსიკო-ინფექციური შოკით შე-მოვიდა 16 ავადმყოფი, სხვადასხვა პოლიორგანული ნაკლოვანები აღენიშნებოდა 25 ავადმყოფს.

მასალის ანალიზი გვაძლევს უფლებას, რომ პერი-ტონიტის განვითარებაში სხვადასხვა მიზეზები შეიძ-ლება გაერთიანდეს 4 ძირითად ჯგუფში 1) ოპერაცი-ის დროს დაშვებული ტექნიკური და ტაქტიკური შეც-დომები; 2) არსებული პერიტონიტის გაგრძელება; 3) მუცლის ღრუს ინფიცირება; 4) ანასტომოზის და ნა-კერების უკმარისობა.

უნდა აღინიშნოს, რომ პერიტონიტის ნიშნები თა-ნამედროვე ეტაპზე მეტად სახეშეცვლილია (გასაგე-ბია კურნალობის, განსაკუთრებით მაღალი სპექტრის ანტიბიოტიკებით მკურნალობის გამო). პერიტონიტი ოპერაციის შემდეგ მიმდინარეობს ღუნედ, მკვეთრად გამოხატული კლინიკური ნიშნების გარეშე.

ასე მაგალითად მუცელში ძლიერი ტკივილები, კუნ-თთა დაჭიმულობა და ბლუმბერგის დადებითი ნი-შანი ჩვენს მასალაზე ჰქონდა ავადმყოფთა მხოლოდ 19%-ს. მკვეთრად გამოხატული პერიტონიტის ნიშნე-ბი აღემატებოდა ნაკერების ანასტომოზის უკმარისო-ბის განვითარების შედეგად, ხოლო სუსტი კლინიკუ-რი ნიშნები და შედარებით წაშლილი (ღუნედ მიმდი-ნარე) ჰქონდათ იმ ავადმყოფებს, რომელთაც პერიტო-ნიტი განუვითარდათ ინტრაოპერაციული ინფიცირე-ბის და განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც აღენიშნებოდა წინად არსებული პერიტონიტის გაგ-რძელება. აღნიშნულ ჯგუფში არც თუ იშვიათად გარ-თულების კლინიკური გამოვლინება შეფასებულ იყო, როგორც სუნთქვის უკმარისობა, გულსისძარღვ-თა და ღვიძლის უკმარისობა და სხვა.

ჩვენი მონაცემებით ისევე, როგორც სხვა ავტორთა გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ პერიტონიტის ყველა-ზე ხშირი ნიშანი არის ნაწლაფთა მყარი პარეზი, ზოგ შემთხვევაში, მიუხედავად ინტენსიური დეზოტოქსიკა-ტური მკურნალობისა, ადგილი აქვს ენდოტოქსიური ინტოქსიკაციის ნიშნების მკვეთრ ზრდას.

ჩვენი გამოკვლევების შედეგად მიღებული და ლი-ტერატურაში არსებულ მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ოპერაციის შემდგომ ინფექციურ გართულებათა, მათ შორის პერიტონიტის დროს, ესოდონ მაღალი ლე-ტალობა წარმოადგენს გვიანი დიაგნოსტიკა (პერიტო-ნიტის, კლინიკური გამოვლენების ნიშნების მკვეთრი სურათის გარეშე), რომ აღნიშნული დიაგნოზი უსშე-რესად ისმევა შეუქცევადი გამოხატული პოლიორგა-ნული ნაკლოვანების დროს და ინფექციური შოკის შემთხვევაში.

დაგვიანებული დიაგნოსტიკა თავის რიგად იწვევს დაგვიანებულ პოსპიტალიზაციას, რაც გამოწვეულია აგრეთვე იმითაც, რომ ზოგადი ქირურგები ცდილობენ როგორმე თვით უმკურნალონ ჩირქოვან ცხელებიან ავადმყოფს, რაც ეწინააღმდეგება სამედიცინო ორგანიზაციის პრინციპებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ რელაპარატომიის ჩვენება უნდა ემყარებოდეს შემდეგ ნიშნებს: 1) მზარდი და მყარი ნაწლავთა პარეზი; 2) პიპერტურმია; 3) შეუსაბამო პულსა და სხეულის ტემპერატურას შორის; თანხლები გართულებები პლევური და ფილტვების მხრივ; 4) თირკმელების მწვავე ნაკლოვანების დასაწყისი ნიშნები; 5) დაუსაბუთებული ტახიკარდია და ტაქიპანოე; 6) კლინიკური დანიშნულების და ლაბორატორიული მონაცემების შეუფარდებლობა (ლეიკოციტოზი, ფორმულის მარცხნივ გადახრით ანემია და სხვა).

ძემოდ მიღებული მონაცემები გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ოპერაციული მკურნალობის (რო-

გორც გეგმიური, ასევე სასწრაფო) ოპერაციები ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას. აღნიშნულის ხარვეზების გამოსასწორებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაინერგოს დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში ახალი ეფექტური მეთოდები.

გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მარტო ჩირქოვანი ქირურგიის პროპაგანდა არ იძლევა სასურველ შედეგს, საჭიროა ჩირქოვანი ქირურგია გამოიყოს მედიცინის ასეთივე ცალკე დამოუკიდებელ დარგად, როგორც ნეიროქირურგია, კარდიოქირურგია, სისხლძარღვო ქირურგია და სხვა.

დასკვნა.

მწვავე ჩირქოვან-ანთებითი დაავადებების და პერიტონიტის მქონე ავადმყოფები, მით უმეტეს გართულებათა დროს, უნდა ხდებოდეს ავადმყოფთა კონცენტრაცია დაწესებულებაში (სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრში), მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიზნით.

რეზიუმე

რელაპარატომია, პოსტოპერაციული ჩირქოვანი ბარტულეზების დროს

ს.ჯაიანი, ე.გოტსაძე, ბ.ტუსკირიძე, გ.ტუსკირიძე (თბილისი)

ოპერაციის შემდგომ მუცლის ღრუში განვითარებული ჩირქოვან-ანთებითი გართულებები სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით საერთო ნაოპერაციებ ავადმყოფთა რიცხვიდან მერყეობს 0.3%-დან 8.6% ოპერაციის შემდგომ ადრეულ გართულებათა შორის ყველაზე ხშირად ინფექციურ-ჩირქოვანი გართულებები. მწვავე ჩირქოვან-ანთებითი დაავადებების და პერიტონიტის მქონე ავადმყოფები, მით უმეტეს გართულებათა დროს, უნდა ხდებოდეს ავადმყოფთა კონცენტრაცია დაწესებულებაში (სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრში), მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიზნით.

SUMMARY

RELAPAROTOMY DUE TO POST-OPERATIVE PURULENT COMPLICATIONS

S.JAIANI, E.GOTSADZE, B.TSUTSKIRIDZE, G.TSUTSKIRIDZE (Tbilisi)

According to different authors purulent-inflammatory complications in the abdominal cavity are present in 0.3-8.6% of all laparotomy procedures. Infectious-purulent process is most the most frequent early complication. Such patients with acute purulent-inflammatory processes and peritonitis, especially if it is a post-operative complication, should be treated in highly qualified center (Sepsis center).

ჯანსაღი კვების აქტუალური საკითხები-რძე და რძის პროდუქტები

თ.თოთაძე (თბილისი)

რძე არის რძემშავ პროდუქტები
ყველამ ვიცით, რომ თუ რძე სითბოში გავაჩერეთ, ამჟავდება, თუმცა იმის მიხედვით, რომელი მიკროორგანიზმები გამრავლდება ამ დროს რძეში, ამჟავებული პროდუქტი შეიძლება ან მავნე გამოვიდეს, ან ძალიან გემრიელი და სასარგებლო. ასე მზადდება ე.წ. რძემჟავა პროდუქტები – შემთბარ რძეში შეაქვთ სპეციალურად შერჩეული სასარგებლო მიკროორგანიზმების კულტურა (დედო), რომლებიც გამრავლებისას რძის შემადგენელ კომპო-

ნენტებს გემრიელ და უფრო ადვილად ასათვისებელ ნივთიერებად გარდაქმნიან. ასე კეთდება მაწონი, იოგურტი, კეფირი, არაჟანი, ხაჭო... მსოფლიოში სხვადასხვა დასახელების ასობით რძემჟავა პროდუქტი იწარმოება. ხარისხი ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს მაღალი კვებითი ღირებულება, და იყოს ადვილად ასათვისებელი.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით, რძემჟავა პროდუქტები დაყოფილია დიეტურ, არაჟნის, ხაჭოს და ხაჭოს ნაწარმებად.

დიეტურს მიეკუთვნება მაწონი და შერეული ფერმენტაციის გზით მიღებული კეფირი. მათი შეფასება ხდება სუნის, გემოს, კონსისტენციის მიხედვით. რეალიზაციაში არ დაიშვება მკვეთრი მჟავიანობის, უცხო სუნის, გამოცალკევებული შრატის არსებობისას. პროდუქტი მაღალუჭადია, ინახება 8 C ტემპერატურის პირობებში.

ხაჭო განსაკუთრებით მდიდარია ცილებით, კალციუმით და B2 ვიტამინით. ეს რძემჟავა პროდუქტი მზადდება რძემჟავის გამოყენებით

ან რძემჟავისა და მაჭიკის ფერმენტის ერთობლივი გამოყენებით. ხაჭო იგივე ყველის ნაირსახეობაა. ყველა ღირსებასთან ერთად, ამ პროდუქტს ნაკლიც გააჩნია. მასში ძალიან ადვილად მრავლდება ნაწლავის ჩხირი და სხვა მავნე მიკროორგანიზმი.

კეთილხარისხოვანი ხაჭო თეთრი ფერისაა, შესაძლებელია ოდნავ მოყვითალო ელფერი ჰქონდეს. ფერი თანაბრად უნდა იყოს მთელ მასაში განაწილებული. არათანაბარი ფერი შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში, ძალიან ცხიმოვანი ხაჭოს შემთხვევაში. ხაჭოს შეფასება არაქნის მსგავსია, მხოლოდ აქ გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქტის ტენიანობა. ინახება არა უმეტეს 8 C.

ხაჭოს დეფექტად ითვლება მჟავა, მწარე, მწკლარტე, გაფუჭებული, ობის გემოს და მშრალი, უხეში, რეზინის-მაგვარი კონსისტენცია. იოგურტი რძემჟავა პროდუქტია. არსებობს სხვადასხვა სახეობის, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონსისტენციითა და გემოვნებით. შეძენისას უნდა გავარჩიოთ „ცოცხალი“ იოგურტი, რომელიც შეიცავს რძემჟავა ბაქტერიებს, განსხვავებით „არა-ცოცხალი“ პროდუქტისაგან, რომელშიც ყველა რძემჟავა ბაქტერია განადგურებულია თერმული დამუშავების შედეგად. ასეთი იოგურტის შენახვის ვადა ერთ თვეზე მეტია, ხოლო თუ პროდუქტს მხოლოდ ერთი კვირა აქვს შენახვის ვადა, იგი უფრო მეტად სასარგებლოა, რადგანაც მას არა აქვს დამატებული კონსერვანტები, ემულგატორები და არ არის თერმულად დამუშავებული. იოგურტი მიიღება ბულგარული ჩხირისა და თერმოფილური სტრეპტოკოკის გამოყენებით რძის შედელების შედეგად.

როდისა და ვიწყებთ რძის პროდუქტების მიღებას? ახალშობილის სიცოცხლის პირველივე საათებიდან საუკეთესო კვება დედის რძეა. შემდეგ აქტუალური ეს პროდუქტები 6-7 თვის ასაკიდან, 1 წლის ასაკის შემდეგ ის სხვა პროდუქტებთან ერთად ბავშვის ყოველდღიური მენიუს შემადგენლობაში შედის.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებში რძემჟავა პროდუქტების მრეწველობა დამყარებულია სტანდარტიზირებულ ტექნოლოგიურ პროცესებზე, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღებას, ამ დარგის განვითარებას და ეკონომიკურ წარმატებას. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად რაციონალური ტექნოლოგიური პროცესის შემუშავებისთვის პირველ რიგში აუცილებელია სტაბი-

ლური სტარტერის (ე.წ. დედოს) შექმნა.

საკვები პროდუქტების მაქსიმალური სტანდარტიზაცია დასავლური პარამეტრების გათვალისწინებით გულისხმობს წარმოებაში ჩართული რძემჟავა ბაქტერიების მთელი რიგი ფენოტიპური თვისებების მიხედვით დახასიათებას. კერძოდ, სტარტერულ კულტურებს, მათ მიმართ წამოყენებული მოთხოვნების თანახმად უნდა გააჩნდეს ისეთი სასარგებლო თვისებები, რომელიც განაპირობებს პროდუქტის ხარისხისა და კვებითი ღირებულების გაუმჯობესებას, და ამასთანავე დადებით გავლენას მოახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ფერმენტირებული რძის პროდუქტების მოხმარება უძველესი დროიდან არის ცნობილი და დამახასიათებელია მსოფლიოს ყველა ცივილიზაციისთვის.

მსოფლიო მაშტაბით დღესდღეობით 2000 მეტი განსხვავებული ტიპის რძემჟავა პროდუქტი არსებობს. მათი უმრავლესობა ეთნიკურია და მცირე რაოდენობით იწარმოება კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის მიერ. ზოგიერთი მათგანი იწარმოება კომერციულად, შედარებით მცირე ინდუსტრიულად.

რძემჟავა პროდუქტები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად: ფერმენტირებული რძის პროდუქტები და ყველის ნაირსახეობები. ფერმენტირებულ რძის პროდუქტებს შენარჩუნებული აქვთ რძის ყველა კომპონენტი, ყველში კი შემადგენელი კომპონენტების ნაწილი რჩება შრატში.

ლაქტოზის ფერმენტაციის ტიპის მიხედვით რძემჟავა პროდუქტები ასევე ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში გაერთიანებული პროდუქტების (იოგურტი, პროსტოკვაშა, ხაჭო, არაქანი და ა.შ.) მიღებას საფუძვლად უდევს რძემჟავური დუღილი. მეორე ჯგუფში (კეფირი, კუმისი, აციდოფილური რძე) შედის ე.წ. შერეული ტიპის ფერმენტაციის პროდუქტები, რომელთა წარმოების პროცესში შეუღლებულია რძემჟავა და სპირტული დუღილის რეაქციები.

განსხვავებული გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო სხვადასხვა ქვეყანაში ჩამოყალიბდა რძემჟავა პროდუქტების მიღების საკუთარი სპეციფიკური მეთოდები, რამაც ხელი შეუწყო ამ პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოვებას.

პროსტოკვაშა – სტერილიზებული ანადუღარ რძეს აცივებენ 40-45 °C-მდე, დედო შეაქვთ 1-5% რაოდენობით. რძემჟავა ბაქტერიების კულტურების დამზადების წესის სპეციფიკის მიხედვით არჩევენ ჩვეულებრივ, მეჩნიკოვის, უკრაინულ,



აციდოფილურ პროსტოკვაშას და ვარენცს. მაგ., „მეჩნიკოვის“ პროსტოკვაშას წარმოებაში იყენებენ სიმბიოზურ დედოს, რომელიც შედგება S. ტერმოპროდუქტისა და L. დეფლავრენსის სსპ. ბულგარული რძისგან თანაფარდობით 4:1 ან 5:1. შედეგების პროცესი გრძელდება 3-5 საათი, რის შემდეგაც პროდუქტს სწრაფად აცივებენ და ინახავენ.

ლებენი – ეგვიპტეში გავრცელებული იოგურტის მსგავსი რძემჟავა პროდუქტია. იოგურტისაგან განსხვავებით ის მცირე რაოდენობით ალკოჰოლს შეიცავს, რაც საფუძრუბის ფერმენტაციის შედეგია.

დაპი – ინდოეთის ნახევარკუნძულზე გავრცელებული ტრადიციული რძემჟავა პროდუქტია. მისი წარმოების მეთოდი შემდეგნაირია: რძეს ადუღებენ, აცივებენ 37 °C-მდე და თიხის ჭურჭელში ასხამენ, რომელსაც სითბოს შენარჩუნებისათვის თივაში ინახავენ. დღეოდ წინა დღეების დაპის ხმარობენ, თანაც მცირე რაოდენობით, რადგანაც ჭურჭლის ფორებში დარჩენილი მიკროორგანიზმებიც საკმარისია იმისათვის, რომ ფერმენტაციის საკმაოდ ძლიერი პროცესი დაიწყოს. კამენის რძის დაპი გამოიყენება ერობის წარმოებისთვის.

იოგურტი – აღმოსავლეთ ევროპას, თურქეთსა და კავკასიაში ფერმენტირებული რძის ტრადიციულ ფორმას წარმოადგენს. მათი დამზადებისათვის ამ ქვეყნებში, როგორც წესი, იყენებენ ძროხის, თხის, ცხვრის ან კამენის ცხიმოვან რძეს, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ადუღებენ, ისე რომ მოცულობაში შემცირდეს და შემდეგ 45 °C-მდე აცივებენ (ლებენის შემთხვევაში 52 °C-მდე), დედოს სახით წინა დღის პროდუქტს უმატებენ და თბილად ადგილას ინახავენ, სანამ არ შედეგდება.

რა ხდება მსოფლიო ბაზარზე რძის პროდუქტებთან დაკავშირებით:

რძის წარმოება ხდება ევროკავშირის ყველა ქვეყანაში გამონაკლისის გარეშე. შესაბამისად მნიშვნელოვანია ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის სოფლის მეურნეობის განვითარება და ხარისხიანი პროდუქციის მიღება. სულ ევროკავშირის ქვეყნებში რძის წარმოების ბრუნვა შეადგენს 165 მლნ. ტონას წელიწადში. 2014 წლის მონაცემებით. ამ მხრივ ევროკავშირის მთავარი მწარმოებლები არიან გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი, ნიდერლანდები და იტალია, რაც ევროკავშირის წარმოების 70% შეადგენს. უფრო მეტი მეურნეობა განსხვავებულია სხვადასხვა წვერ სახელმწიფოებში, თუმცა მიზანი ერთია – შემცირდეს რძის ფხვნილით წარმოებული პროდუქტია. არ არსებობს ტიპური ევროპული ძროხის ჯიში, თუმცა რიესიან – ოლსტეინ არის ყველაზე გავრცელებული. სოფლის მეურნეობის წარმოების კუთხით რძის პროდუქტების ხარისხიან წარმოებას ევროკავშირის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა როდესაც აქცენტი ჯანსაღ კვებაზე კეთდება, უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის და წარმოების კუთხით ყველაზე მაღალი წილი ბოსტნეულზე და ხილზე კეთდება.

საქართველოში რძის პროდუქტების წარმოებაზე როდესაც ვსაუბრობთ მნიშვნელოვანი პროდუქტია ასევე მაწონი. მაწონი (სომხ. *մածուն* – მაწუნ, აზერ. *агъ* – ყათიდ, ქურთ. *ასტ* – მასტ, არამ. *ܐܪܥܐ* – მასტო) – ძროხის, კამეჩის, ცხვრის, ან თხის აღუღებული რძისგან გაკეთებული ქართული იოგურტი.

სავარაუდოდ, მაწვნის ტრადიცია მოდის ანტიკური საქართველოდან, საიდანაც, მოგვიანებით, გავრცელდა ბევრ მეზობელ ქვეყანაში, მაგ. სომხეთში. უკანასკნელი გამოკვლევები მაწონზე ჩატარებული იყო 1996 წელს ნ. ჭანიშვილისა და სხვათა მიერ ფინელ კოლეგებთან ერთად. შესწავლილ იქნა სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე სოფლებში (380მ-დან 1700მ-მდე) მოპოვებული ოჯახებში წარმოებული 20 მაწვნის დედოს ბაქტერიული შემადგენლობა და ნაჩვენები იყო

ნაირგვარობა მაწვნის ნიმუშების სახეობრივი შემადგენლობისა და კომპონენტების რიცხვის მიხედვით. დედოების უმრავლესობა 5-7 კომპონენტს შეიცავდა, ზოგჯერ კი ეს რიცხვი 9-ს აღწევდა.

იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი ბაქტერიული სახეობები და საფუერები: *Lactobacillus delbrueckii* ssp. *lactis*, *L. casei*, *L. acidophilus*, *Streptococcus thermophilus*, *Lactococcus cremoris*, *L. lactis*, *Enterococcus durans*, *E. faecalis*, *Saccharomyces cerevisiae*, *Candida lucitaniae*. დადგინდა, რომ სახეობების ზემოთაღნიშნული ნაირფეროვნების მიუხედავად მაწვნის კოლტისა და გემოვნებითი თვისებების ჩამოყალიბებაზე *L. delbrueckii* ssp. *lactis* და *S. thermophilus* (შეფარდებით 1:3) აგებენ პასუხს.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. გ. კლიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი იანა მალხაზოვა – დისერტაცია.

მაწვნის დედობიდან გამოყოფილი ენდემური რძეშეფარდებითი გენოტიპური და ფენოტიპური დახასიათება.

2. ტექნიკური რეგლამენტი – „აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმები“

3. ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. – 2015 წ.

4. რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი – საქართველოს მთავრობის დადგენილება 152, 2015 წლის 3 აპრილი.

5. ნ. მანჯავიძე, გ. მეგრელიშვილი „პედიატრია“. I ტომი.

6. განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ – საქართველოს მთავრობის დადგენილება №487 2017 წლის 30 ოქტომბერი.

7. https://ec.europa.eu/agriculture/milk_en

8. <http://www.agr.gc.ca/eng/industry-markets-and-trade/international-agri-food-market-intelligence/europe/market-intelligence/dairy-products-western-europe/?id=1420644518049>

9. <http://www.corbion.com/media/press-releases?newsId=1949778>

10. <http://www.euromonitor.com/drinking-milk-products-in-japan/report>

11. <http://www.crosscurrents.hawaii.edu/content.aspx?lang=eng&site=japan&theme=work&subtheme=AGRIC&unit=JWORK107>

12. <https://mpglobal.donki.com/en/product/D00001168>

13. https://www.freedieting.com/tools/calories_in_dairy.htm

14. <http://www.calories.info/food/milk-dairy-products>

რეზიუმე

ჯანსაღი კვების აქტუალური საკითხები-რძე და რძის პროდუქტები

თ.თოთაძე (თბილისი)

იდენტიფიცირებულია ბაქტერიული სახეობები და საფუერები: *Lactobacillus delbrueckii* ssp. *lactis*, *L. casei*, *L. acidophilus*, *Streptococcus thermophilus*, *Lactococcus cremoris*, *L. lactis*, *Enterococcus durans*, *E. faecalis*, *Saccharomyces cerevisiae*, *Candida lucitaniae*.

დადგინდა, რომ სახეობების ზემოთაღნიშნული ნაირფეროვნების მიუხედავად მაწვნის კოლტისა და გემოვნებითი თვისებების ჩამოყალიბებაზე *L. delbrueckii* ssp. *lactis* და *S. thermophilus* (შეფარდებით 1:3) აგებენ პასუხს.

SUMMARY

LEADING ISSUES IN NUTRITION – MILK AND MILK PRODUCTS

N.TOTADZE (Tbilisi)

Identified species of bacteria and yeast: *Lactobacillus delbrueckii* ssp. *lactis*, *L. casei*, *L. acidophilus*, *Streptococcus thermophilus*, *Lactococcus cremoris*, *L. lactis*, *Enterococcus durans*, *E. faecalis*, *Saccharomyces cerevisiae*, and *Candida lucitaniae*.

It is reported that despite the variety of up-mentioned species *L. delbrueckii* ssp. *lactis* and *S. thermophilus* (with 1:3 ratio) are responsible for the development of Matsoni clot and features influencing sense of taste.

ქლამიდიოზი ბავშვებში-თანამედროვე გამოწვევა

ირინე კორინთელი,
მედიცინის დოქტორი-მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი-ასისტენტ პროფესორი/

ბოჩა აბუთიძე, მედიცინის დოქტორი-მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი/

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ქლამიდიოზის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია უძველესი დროიდან /ჯერ კიდევ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე/ არის ცნობილი მეურნეობათათვის. მიუხედავად ამისა, დღეისათვის 21-ე საუკუნეში, ქლამიდიოზი ბავშვებში/ მართვის საკითხები/, კვლავ, აქტუალურ პრობლემად რჩება.

მე-20 საუკუნის ქართული პედიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, იოსებ კვაჭაძის მრავალ მხრივ სამეცნიერო შრომებში, ბავშვთა ასაკში ქლამიდიოზის საკითხებს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეს ნაშრომები დღეისათვისაც არ კარგავს მნიშვნელობას პრაქტიკული მედიცინისათვის.

პროფესორმა იოსებ კვაჭაძემ ჯერ კიდევ, 1987 წელს, პირველად საქართველოში და ერთ-ერთმა პირველმა მსოფლიოში აღწერა რეიტერის შემთხვევა – ქლამიდიური ეტიოლოგიის. ამ შემთხვევის შესახებ სტატია დაიბეჭდა ჟურნალში „საბჭოთა მედიცინა“ /ი. კვაჭაძე, ნ. შელია, გ. აბუთიძე – „რეიტერის დაავადება ბავშვთა ასაკში“ – ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“ – 1987 წელი, №4. გვ. -33-36/. შემდგომ წლებში ამავე საკითხზე გამოქვეყნდა კიდევ ორი შემდეგი სტატია:

• გ. აბუთიძე „რეიტერის დაავადების თავისებურებანი ბავშვთა ასაკში“ 1987 წ. თბილისი

• გ. აბუთიძე „იმუნოლოგიური ცვლილებებისა და გენეტიკური განწყობის როლი რეიტერის სინდრომის განვითარებაში ბავშვთა ასაკში“. ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“ – 1989 წელი, №2. გვ. -55-56

ჩვენს მიერ მოძიებული იქნა 50 -მდე სამეცნიერო სტატია/ ყველა მათგანი არის გამოქვეყნებული www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed განთავსებული ჟურნალებში -2010-2015 წ. წ. და ასევე, პროფესორ იოსებ კვაჭაძის ნაშრომები ქლამიდიოზთან მიმართებაში/15 ერთეული – გამოქვეყნებული ქართულ სამედიცინო ჟურნალებში 1987-1993 წ. წ./

ზემო აღნიშნული პუბლიკაციების შეჯერებით გამოვლინდა შემდეგი ზოგიერთი აქტუალური გამოწვევა ბავშვთა ქლამიდიოზთან მიმართებაში: კერძოდ,

• შემთხვევათა 80%-70% ქლამიდიოზი ბავშვებში უსიპტომოდ მიმდინარეობს, რაც ართულებს დროულ ოპტიმალურ მართვას.

• ქლამიდიოზის დაგვიანებული დიაგნოსტიკა ბავშვებში -მენჯის ღრუს ანთებითი /შემდგომი ფერტილური სირთულეების შესაძლებლობით/ ასევე, რევმატოიდული /მათ შორის რეიტერის/, თვალის/ მათ შორის კატარაქტა, სიბრმავე/, კანის დაავადების განვითარების მაღალი რისკი.

• არანამკურნალევი ქლამიდიოზი ორსულებში შეიძლება დღენაკლულობისა და ახალშობილებში ჩირქოვან -ანთებითი დაავადებების მიზეზი გახდეს.

• რეიტერის დაავადების ეტიოლოგიური ფაქტორი – ქლამიდი, უხშირესი ეტიოლოგიური ფაქტორი.

ასევე, ჩვენს მიერ კიდევ ერთხელ გაანალიზებულ იქნა პროფესორ იოსებ კვაჭაძის სტატიები ქლამიდიოზთან მიმართებაში.

1987-1993 წლებში პროფესორი იოსებ კვაჭაძე უკვე, აქტიურად ბეჭდავდა სტატიებს ქლამიდიოზის აქტუალობის თაობაზე ბავშვთა ასაკში. როგორც ზე-

მოთ იყო აღნიშნული, საქართველოში რეიტერის დაავადების პირველი შემთხვევა აღწერილ იქნა 1987 წელს.

1990-1993 წ. წ. შესრულებულ იქნა 2 საკვლედიკაციო ნაშრომი/ შრომის ავტორებს მიენიჭათ მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება/.

პირველი მათგანი ეხებოდა ქლამიდიით მუცლად ყოფნის დაინფიცირების შესაძლებლობასა და მნიშვნელობას შემდგომში ნაყოფის განვითარებისა და ახალშობილებში შემდგომი ჩირქოვან ანთებითი დაავადებების გამოვლინების კუთხით/ ქლამიდიით ნაყოფის მუცლად ყოფნის დაინფიცირების მნიშვნელობა ახალშობილებში ჩირქოვან-ანთებითი დაავადებების განვითარების საქმეში ხელმძღვანელები: პროფესორები ი. კვაჭაძე, გ. დანელია. 1990-1993 წ. წ./.

ამ კვლევის ფორმატით შესრულებული იქნა შემდგომი სამუშაო

• შესწავლილ იქნა ორსულთა საშოს ნაცხი ქლამიდიოზზე.

• შესწავლილ იქნა პლაცენტები/ანატომიურ-მორფოლოგიური თავისებურებანი/

• შესწავლილ იქნა ახალშობილთა ჯანმრთელობის მდგომარეობა/მათ შორის დაავადების ეტიოლოგიაში ქლამიდიის როლი/ .

რაც შეეხება მეორე ნაშრომს / „რეიტერის დაავადების კლინიკური და ეტიოლოგიური დახასიათება ბავშვთა ასაკში“ ხელმძღვანელი: ი. კვაჭაძე, 1990-1993 წ. წ./.

შესწავლილ იქნა ქლამიდიოზის როლი რეიტერის დაავადების განვითარებაში.

• გაანალიზებული იქნა კლინიკური შემთხვევები/კლინიკურ-პარაკლინიკური პატერნების მიხედვით/.

• შეწავლილ იქნა ეტიოლოგიური სრუქტურა

• ბავშვთა ასაკში პირველად იქნა მითითებული ქლამიდიური ინფექციის წამოყვან როლზე რეიტერის დაავადების განვითარებაში და ნაწლავური ინფექციის მნიშვნელობაზე ლატენტურად მიმდინარე ქლამიდიური ინფექციის გააქტიურებაზე და შემუშავდა რეიტერის მართვის ოპტიმიზაციისათვის რეკომენდაციები.

თუ კიდევ ერთხელ ჩავუღრმავდებით პროფესორ კვაჭაძის ნაშრომებს, ვნახავთ, რომ გარკვეული კუთხით მოინახება პასუხები იმ თანამედროვე გამოწვევებზე, რომლებიც დღეისათვის აქტუალურია ბავშვებში ქლამიდიოზთან მიმართებაში. კერძოდ,

• არანამკურნალევი ქლამიდიოზი ორსულებში 10%-15%-ში ხდება დღენაკლულობისა და ახალშობილებში ჩირქოვან -ანთებითი დაავადებების /კონიუქტივითი, ვულვო-ვაგინიტი, ურეთიტი, პნევმონია სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი-ქლამიდიას ასოცირებული სხვა ინფექციურ აგენტთან/ მიზეზი/1990-1993 წ. წ./.

• რეიტერის დაავადების სტრუქტურაში ქლამიდიოზის ეტიოლოგიური წილი მერყეობს 20-50% ფარგლებში, ასევე, ადრეული ასაკში ქლამიდიოზით ავადობა წარმოადგენს რისკს რეიტერის განვითარების კუთხით.

ამრიგად, პროფესორ იოსებ კვაჭაძის პუბლიკაციები, კონკრეტულ შემთხვევაში ქლამიდიოზთან მიმართებაში, დღეისათვისაც კვლავ, აქტუალურია და წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს შემდგომი სამეცნიერო კვლევებისათვის.

ლიტერატურა:

1. Trachoma in Yunnan province of southwestern China: findings from trachoma rapid assessment. Wu M, Hu ZL, He D, Xu WR, Li Y. BMC Ophthalmol. 2018 Apr 17;18(1):97.
2. Assessing prevalence of missed laboratory-confirmed sexually transmitted infections among women in Kingston, Jamaica: results from a secondary analysis of the Sino-Implant clinical trial. Zia Y, Wiener J, Snead MC, Papp J, Phillips C, Flowers L, Medley-Singh N, Costenbader EC, Hylton-Kong T, Kourtis AP. BMJ Open. 2018 Apr 13;8(4):
3. Chlamydial ompA Diversity in Trachoma-Hyperendemic Communities Treated With Azithromycin. Chin SA, Morberg DP, Alemayehu W, Melese M, Lakew T, Chen MC, Zhou Z, Doan T, Cevallos V, Lietman TM, Keenan JD. Am J Epidemiol. 2018 Apr 3.
4. Doxycycline suppresses Chlamydia pneumoniae induced interferon-gamma responses in peripheral blood mononuclear cells in children with allergic asthma. Smith-Norowitz TA, Weaver D, Norowitz YM, Hammerschlag MR, Joks R, Durkin HG, Kohlhoff S. J Infect Chemother. 2018 Jun;24(6):470-475.
5. Chlamydiae in febrile children with respiratory tract symptoms and age-matched controls, Ghana. Bühl H, Eibach D, Nagel M, Greub G, Borel N, Sarpong N, Rettig T, Pesch T, Aebly S, Klöckner A, Brunke M, Krannich S, Kreuels B, Owusu-Dabo E, Hogan B, May J, Henrichfreise B. New Microbes New Infect. 2018 Jan 13;22:44-48.
6. Chlamydia Conjunctivitis in 2 Prepubertal Children: An Uncommon Presentation of Child Sexual Abuse. Brownell AD,

Miraldi Utz V, Makoroff KL, Shapiro RA, Mortensen JE. Pediatr Emerg Care. 2018 Mar 5.

7. Prevalence of sexually transmitted infections among young people in South Africa: A nested survey in a health and demographic surveillance site. Francis SC, Mthiyane TN, Baisley K, Mchunu SL, Ferguson JB, Smit T, Crucitti T, Gareta D, Dlamini S, Mutevedzi T, Seeley J, Pillay D, McGrath N, Shahmanesh M.

8. Longitudinal change in the serology of antibodies to Chlamydia trachomatis pgp3 in children residing in a trachoma area. West SK, Munoz B, Kaur H, Dize L, Mkocha H, Gaydos CA, Quinn TC. Sci Rep. 2018 Feb 23;8(1):3520.

9. Conjunctival transcriptome profiling of Solomon Islanders with active trachoma in the absence of Chlamydia trachomatis infection. Vasileva H, Butcher R, Pickering H, Sokana O, Jack K, Solomon AW, Holland MJ, Roberts CH. Parasit Vectors. 2018 Feb 21;11(1):104.

10. The Etiology of Vaginal Discharge Syndrome in Zimbabwe Results from the Zimbabwe STI Etiology Study. Chirenje ZM, Dhibi N, Handsfield HH, Gonesse E, Barr BT, Gwanzura L, Latif AS, Maseko DV, Kularatne RS, Tshimanga M, Kilmarx PH, Machiha A, Mugurungi O, Rietmeijer CA. Sex Transm Dis. 2017 Nov 29

11. Sexually Transmitted Diseases Among Pregnant Women: 5 States, United States, 2009-2011. Williams CL, Harrison LL, Llata E, Smith RA, Meites E. Matern Child Health J. 2018 Apr;22(4):538-545.

12. Active Trachoma Cases in the Solomon Islands Have Varied Polymicrobial Community Structures but Do Not Associate with Individual Non-Chlamydial Pathogens of the Eye.

Butcher RMR, Sokana O, Jack K, Kalae E, Sui L, Russell C, Houghton J, Palmer C, Holland MJ, Le Mesurier RT, Solomon AW, Mabey DCW, Roberts CH.

Front Med (Lausanne). 2018 Jan 23;4:251

13. Symptoms, Signs and Long-Term Prognosis of Vertically Transmitted Chlamydia trachomatis Infections. Honkila M, Renko M, Pokka T, Wikström E, Uhari M, Tapiainen T. Pediatr Infect Dis J. 2018 Jan

რეზიუმე

ქლამიდიოზი ბავშვებში-თანამედროვე გამოწვევები

ირ. კორინტელი,
მედიცინის დოქტორი-მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი-ასისტენტ პროფესორი/
გ.აბუტიძე, მედიცინის დოქტორი-მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი/
(თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი)

ქლამიდიოზის შემთხვევების შესახებ ინფორმაცია უძველესი დროიდან /ჯერ კიდევ, ჩვენს წელთა აღრიცხვამდე/ არის ცნობილი მკურნალთათვის. მიუხედავად ამისა, დღეისათვის 21-ე საუკუნეში, ქლამიდიოზი ბავშვებში/ მართვის საკითხები/, კვლავ, აქტუალურ პრობლემად რჩება. მნიშვნელოვანია, რომ პროფესორ იოსებ კვაჭაძის პუბლიკაციები, კონკრეტულ შემთხვევაში ქლამიდიოზთან მიმართებაში, დღეისათვისაც კვლავ, აქტუალურია და წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს შემდგომი სამეცნიერო კვლევებისათვის.

SUMMARY

CHLAMYDIA INFECTION IN CHILDREN – MODERN CHALLENGES

IR. KORINTELI,
assistant professor, PhD, candidate of doctor of medical science
GABUTIDZE, PhD, candidate of doctor of medical science
(Tbilisi State Medical University)

Information about Chlamydia infection incidence was known for physicians even Before Christ. Despite this fact treatment of this infection remains to be an up-to-date issue. Publications of I.Kvachadze regarding Chlamydia infection remains to be an important basis for the further scientific researches.



ბავშვთა ძირს, პროფესორ ლევან ავალიანს 100 წელი შეუსრულდა

მომონება MEMOIR

1963 წლიდან ბავშვთა ქირურგიის კათედრას სათავეში ჩაუდგა აკად. კ. ერისთავისა და პროფ. მ. კოჩიაშვილის მოწვევით, პროფესორი დ. ავალიანი (1917-1996). პრაქტიკული და ორგანიზაციული მუშაობასთან ერთად იგი დიდ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. მის მიერ გამოქვეყნებული 160-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 12 მონოგრაფია. 1960-1972 წლებში იგი იყო პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, 1964-1994 წლებში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ბავშვთა ქირურგი. პროფესორ ლევან ავალიანის უშუალო ინიციატივით რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში გა-

იხსნა ბავშვთა ქირურგიული განყოფილება, რომლებიც დაკომპლექტდა ბავშვთა ქირურგებით, ექიმად, 1961 წ. ბათუმში, 1963 წ. სოხუმში, 1964 წ. ქუთაისში, 1974 წ. ცხინვალში, 1982 წ. ოზურგეთში, 1988 წ. თელავში. 1994 წ. ახალციხეში, ფოთში. 1960 წელს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედაგოგიური სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ბავშვთა ქირურგიული განყოფილება. 1964 წელს აკად. ა. წულუკიძის ინიციატივით და პროფ. დ. მურვანიძის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიხსნა რესპუბლიკაში პირველი ბავშვთა უროლოგიური განყოფილება, რომელიც თავიდან ფუნქციონირებდა ქ. თბილისის №1 საავადმყოფოში არსებულ ბავშვთა ქირურგიულ განყოფილებაში. 1978 წლიდან იგი სამუდამოდ დაუფრნდა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. 1978 წელს პროფ. დ. ავალიანის ხელშეწყობით ბავშვთა

რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაიხსნა თორაკალური და ნეიროქირურგიული განყოფილებები. ნეიროქირურგიულ განყოფილებას სათავეში ჩაუდგა ბავშვთა ქირურგიის კათედრის პროფ. გ. მისია. პროფ. დ. ავალიანის თაოსნობით შემდგომში ბავშვთა განყოფილებაში გაიხსნა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით და ტრავმატოლოგია-ორთოპედის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, დამწვრობისა და ადლენიით ქირურგიის რესპუბლიკურ ცენტრში. რესპუბლიკაში ბავშვთა ქირურგიული საწარმოების ზრდა მოითხოვდა ბავშვთა ქირურგთა ახალ კადრებს, ამიტომ პროფ. დ. ავალიანის ძალისხმევით თბილისის ექიმთა დახვდევების სახელმწიფო ინსტიტუტში 1967 წელს გაიხსნა ბავშვთა ქირურგიის კურსი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თვითონ და 20 წელი საზოგადოებრივ საქმეებზე ხელმძღვანელობდა მას. 1987 წელს კურსის ხელმძღვანელად აირჩიეს პროფ. ა. სიმონიშვილი. 1989 წელს

კი კურსი გადაკეთდა ბავშვთა ქირურგიის კათედრად და კათედრის გაშვებ არჩეული იქნა პროფ. პ. შოთაძე. მისი გარდაცვალების შემდეგ 1999 წელს კათედრის გამგედ არჩეული იქნა პროფ. პ. გვერტაძე. რესპუბლიკაში ბავშვთა ქირურგიის სწავლა განვითარებამ აუცილებელი გახდა საქართველოს ქირურგიულ საზოგადოებასთან ბავშვთა ქირურგიული სექციის ჩამოყალიბება. რაც განხორციელდა 1976 წელს. სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფ. დ. ავალიანი. შემდგომში იგი გამოყოფილ ქირურგიულ საზოგადოებას და ჩამოყალიბდა ბავშვთა ქირურგიულ საზოგადოებად. 1996 წელს შეიქმნა ბავშვთა ქირურგთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტად არჩეული იქნა რ. კუჭუბაძე.

ბატონ ლევანის ორგანიზებითა და თაოსნობით ჩამოყალიბდა ბავშვთა ქირურგიის სკოლა, რომლის სტრუქტურა დღემდე შენარჩუნებულია, ისწავლება სამედიცინო უნივერსიტეტისა და სხვა სამედიცინო სასწავლებლებში, არსებობს რამდენიმე განყოფილება, მისი მსწავლეები წარმატებით ათვისებენ მოცემულ დარგს. ხშირად აღნიშნული პროფესორი მოიცავს უცხოელ სპეციალისტებთან თანამშრომლობას, რაც უფრო პროგრესულს ხდის აღნიშნულ დარგს.

პროფესორ მ. კოჩიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1963 წლიდან ბავშვთა ქირურგიის კათედრას სათავეში ჩაუდგა აკადემიკოს კ. ერისთავის და პროფესორ მ. კოჩიაშვილის მოწვევით, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი ლევან ავალიანი (1917-1996). პრაქტიკულ და ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად იგი დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. არ დარჩენილა ბავშვთა ქირურგიის არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზედაც ლევან ავალიანის თაოსნობით არ მოქმედებდა. მის მიერ გამოქვეყნებული 160-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 12 მონოგრაფია. 1960-1972 წლებში იგი იყო პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, 1964-1994 წლებში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ბავშვთა ქირურგი და ბავშვთა ქირურგიის რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი. მასთან ერთად კათედრაზე მუშაობდნენ პროფესორები: გ. ყვანილა, გ. მისია, დ. დოცენტები: ჯ. ნარტიაშვილი, ნ. მთავრაძე, დ. ხეცურია, გ. საყვარელიძე და სხვები.

1961 წ. ბათუმში (გამგ. მ. გორჯილაძე); 1963 წ. სოხუმში (გამგ. გ. კანტურია); 1964 წ. ქუთაისში (გამგ. ო. რუხაძე); 1974 წ. ცხინვალში (გამგ. ა. ჯიფიძე); 1982 წ. ოზურგეთში (გამგ. რ. დინაძე); 1988 წ. (გამგ. რ. ზაქარიაძე); 1994 წ. ახალციხეში (გამგ. ნ. წამალაძე). 1960 წელს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ბავშვთა ქირურგიული განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. შ. ხარბუაძე), რომელიც განთავსდა ქ. თბილისის ბავშვთა №2 საავადმყოფოს ბაზაზე. ხოლო 1962 წელს გადავიდა ქ. თბილისის ბავშვთა №4 საავადმყოფოში (40 საწოლზე), ახლად გახსნილ ქირურგიულ განყოფილებაში. ამ განყოფილებაში პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი კვლევა. ხანმოკლე პერიოდში აქ შესრულდა 2 სადოქტორო და 3 საკანდიდატო დისერტაცია, 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

1964 წელს აკად. ა. წულუკიძის ინიციატივით და პროფ. დ. მურვანიძის უშუალო ხელმძღვანელობით, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიხსნა რესპუბლიკაში პირველი ბავშვთა უროლოგიური განყოფილება, რომელიც თავიდან ფუნქციონირებდა ქ. თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში ბავშვთა ქირურგიულ განყოფილებაში. 1978 წლიდან იგი სამუდამოდ დაუფრნდა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში. 1978 წელს პროფ. დ. ავალიანის ხელშეწყობით ბავშვთა

ქირურგიის სკოლა. ხოლო 1973-1978 წლებში მუშაობდა თბილისის ბავშვთა ქირურგიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

თორაკალური განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა გ. ზაქარიაძე. შემდგომში ბავშვთა განყოფილებები ჩამოყალიბდა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით და ტრავმატოლოგია-ორთოპედის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, დამწვრობისა და ადლენიით ქირურგიის რესპუბლიკურ ცენტრში.

რესპუბლიკაში ბავშვთა ქირურგიული საწარმოების ზრდა მოითხოვდა ბავშვთა ქირურგთა ახალ კადრებს. ამიტომ პროფ. დ. ავალიანის ძალისხმევით, თბილისის ექიმთა დახვდევების სახელმწიფო ინსტიტუტში 1967 წელს გაიხსნა ბავშვთა ქირურგიის კურსი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თვითონ და 20 წელი საზოგადოებრივ საქმეებზე ხელმძღვანელობდა მას. 1987 წელს კურსის ხელმძღვანელად აირჩიეს მდიო-პროფესორი გ. მისია.

1989 წელს კურსი გადაკეთდა ბავშვთა ქირურგიის კათედრად და კათედრის გამგედ არჩეულ იქნა პროფესორი პ. შოთაძე. მისი გარდაცვალების შემდეგ (1999) კათედრის გამგედ არჩეული იქნა დოცენტი პ. გვერტაძე. რესპუბლიკაში ბავშვთა ქირურგიის სწავლა განვითარებამ აუცილებელი გახდა საქართველოს ქირურგიულ საზოგადოებასთან ბავშვთა ქირურგიული სექციის ჩამოყალიბება. რაც განხორციელდა 1976 წელს. სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფ. დ. ავალიანი. შემდგომში გამოყოფილ ქირურგიულ საზოგადოებას და ჩამოყალიბდა



ბავშვთა ქირურგიულ საზოგადოებად. 1995 წელს საზოგადოების თანამშრომლობაზე არჩეულ იქნენ პროფ. თ. განიჭილაძე და პროფ. ა. სიმონიშვილი. 1996 წელს შეიქმნა ბავშვთა ქირურგთა ასოციაცია, რომელიც 1999 წელს გარდაიქმნა საქართველოს ბავშვთა ქირურგების კავშირად, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი რ. კუჭუბაძე. შემდგომში ბავშვთა ქირურგების კავშირის რეგიონალური ცენტრები გაიხსნა იმერეთში, აჭარაში.

საქართველოში ბავშვთა ქირურგიის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსეთის ბავშვთა ქირურგიულმა სკოლამ. პროფ. მ. კოჩიაშვილის და დ. ავალიანის მჭიდრო კავშირი პქონიდა ბავშვთა ქირურგიის ისეთ დარგებთან, როგორებიც იყვნენ აკად. ს. ტერნოვსკი, აკად. ს. დოლცკი, აკად. გ. ბაიროვა, აკად. მ. ვოლოკოვი და სხვები. თსუ ბავშვთა ქირურგიის კათედრა აგრძელებს ურთიერთობას მოსკოვისა და სხვადასხვა ქალაქების წამყვან ბავშვთა ქირურგიულ კლინიკებთან, რაც ხელს უწყობს მეცნიერებათა მდგრადი ურთიერთგაზიარებას და მის პრაქტიკაში დანერგვას.

ბატონი ლევან ავალიანის სახელის გახსენება ყოველთვის მაღდივრების გრძელდება იქვე, როგორც პროფესორი, ასევე ადამიანური ღირსებებიდან გამომდინარე.

რედაქცია






პროექსტის ნაღარ
სერსეულად 90

27.07.17. ၀၆၆၅ 17.00.

27.07.17. თსსუ 17.00.
 ბრწყინვალე საღამო შედგა
 დეპუტატი ილია კედიტარის,
 ჟურნალისტის, ბატონ ნოდარ
 ხერხეულიძის 90 წელთან და-
 კავშირებით. დიდი მადლობა მის
 ოჯახიან ბატონებს – კათედრის
 აღმზრდელებს – პროფ. ვანო კო-
 ჩიაშვილს, ასოც. პროფ. მანა ხერ-
 ხეულიძეს და მის ყველა წევრს.



გივი ჟვანია
90 წელი

ჩვენი სტუდენტობის უსაყვარლესი დეკანი, კვლავობი შემდგომ კოლეგა და უფროსი გულისთვის მიგზავნი მემორიალური მემორიალის მემორიალურად დოკუმენტი, პროფესორი ბატონი ბი-ბი შვანიძე წელს 90 წლის გასდგომდა



ბემშვიდობებით გატონო ჯუმბერ,

კაცი, რომელიც ფუსფუსით და-
ლიოდა, სიკეთეს თესავდა და გიხა-
როდაა რომ იგი შენთან ერთად ამ
ქალაქში ცხოვრობდა.

ჯუშბერ ჩანტლაძე ექსიმო-ბავშვთა ქირურგი – ერთ-ერთი პირველი და განუყოვრებული ორთოდ-ტრავმატოლოგი, წლების განმავლობაში გუგეიას სახელობის ბავშვთა სახინეურსიტეტო კლინიკის ერთადერთ სპეციალისირებული ბავშვთა ტრავმატოლოგიის განყოფილების გაბეჭ.

ეჭიშები, რომ ნიჭიერები და მრავალმხრივი ადამიანები არიან, ამაზე ბატონი ჯუმბერის ცხოვრება და მუსიკალური ნიჭი მეტყველებს.

„ყვავილების ქვეყანა“, რომელიც უნიკალური ქართული სუფრის განუმეორებელი თამაღობისას თავის ელფერით იყო შემოსილი.

ჯეომეტრიკი ჩანტლას უმნიშვნელო-
ვანესი ღირსება იყო ახალგაზრდო-
ბის სიყვარული და მათთან სიახ-
ლოვებადმხრელობითი ცხოვრებისე-
ული დაუღლელი გაკვეთილების
დიპლომატიური მიწოდება.

დიდი იყო მისი მასწავლებლები-სადმო და ასკოვანი ღირსეული სპეციალისტებისადმი პატივისცემასწორედ ეს იყო 2010 წელს მისი ინიციატივით საქართველოში დამსახურებული მედიკოსებისადმი „ბრწყინვალეების ჯარსკვლავის“ კომისიის შექ-

მნა, ღირსეულთათვის მინიჭება და კლინიკებში მისი ცერემონიალური გახსნარომელიც დღესაც დიდი ტრადიციებით გრძელდება.

ეს განკლავთ ის მოკრძალებული შეფასება იმ დიდი სიყვარული-საბრძოლო ეტყ ბატონ ჯეჟეგან ჩანტ-ლიძესთან მე პირადან მაკავშირებ-და და იმ დიდი ადამიანური რე-სურსების „დაქექიანითეს“, რომელ-საც იგი მოსწონეველთ ღამაზად ფუთავდა.ისეგრემ შენც გაგაღდე-ბულგად შენი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოიყენებინა საქარ-თვლის სიყვარულში.

ღმერთმა გაანათლოს ბატონი
ჯუმბერის სული.



მოგონება MEMOIR

პროფესორი იოსებ კვაჭაძე

(ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა)

ბ. ჩახუნაშვილი, ი. კორინთელი, ნ. გაბრიაშვილი

2010 წლის 31 ოქტომბერს სრულდება 85 წელი გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის, ექიმ პედიატრის იოსებ მახარობლის-ძე კვაჭაძის დაბადებიდან. ის იყო უდიდესი კლინიკისტი, მეცნიერი, პედაგოგი.

ბატონი იოსებ კვაჭაძე დაიბადა 1925 წელს. 1946 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

1955 წელს ბატონმა იოსებმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1970 წ. სადოქტორო, რომელიც შეეხებოდა თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის პრობლემას. იმავე წელს მას ანიჭებენ პროფესორის ხარისხს.

1972 წლიდან იოსებ კვაჭაძე სიცოცხლის ბოლომდე იყო პოსპიტალური პედიატრიის კათედრის გამბე.


1984 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

პროფესორ იოსებ კვაჭაძის ხელმძღვანელობით შესრულდა კათედრაზე 18 საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო

ავტორი 300 სამეცნიერო შრომის, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში: ბუენოს-აირესი, მეხიკო, პარიზი, ლონდონი, მონტე-კარლო, პრაღა, ლუბროვნიკი, უენეცია, ბუდაპეშტი, ჯაკარტა, მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი და სხვა.



პროფესორ იოსებ კვაჭაძის სამეცნიერო კვლევები შეეხებოდა იმუნოლოგიის, იმუნოგენეტიკის, სხვადასხვა დაავადებათა კლინიკის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის საკითხებს.



მის მიერ პირველად საქართველოში შესწავლილია ტოქსოპლაზმოზი, თანდაყოლილი ინფექციები, ნაწლავთა შეწოვის ფუნქციის დარღვევით მიმდინარე დაავადებები: მუკოვისციდოზი, ცელიაკია, ექსუდაციური ენტეროპათია, დისაქარიდული უკმარისობა, იმუნოდეფიციტის სინდრომით მიმდინარე პათოლოგიები, დაუნის სინდრომი, მის მიერ აღწერილია სხვადასხვა თანდაყოლილი და მექანიკური დაავადებები.

პროფესორ იოსებ კვაჭაძეს, უდიდესი ღვაწლი მიუძღვის რევმატიზმისა და შემაერთი ქსოვლი დიფუზური დაზიანებით მიმდინარე დაავადებათა ეპიდემიოლოგიის, კლინიკის, იმუნური ასპექტებისა და მკურნალობის საკითხების შესწავლაში.

იგი არის 10 მონოგრაფიის ავტორი. მისი სახელმძღვანელო „ბავშვთა დაავადებანი“ ექიმთა და სტუდენტთა სამაგიდო წიგნია.

იოსებ კვაჭაძე იყო ინიციატორი და ხელმძღვანელი საქართველოს პედიატრთა პირველი ყრილობის. იგი მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონგრესში, იყო მსოფლიოს ბავშვთა საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს რევმატოლოგთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, საკავშირო სამედიცინო ჟურნალების რედაქციების წევრი.

პროფესორი იოსებ კვაჭაძე გარდაიცვალა 1993 წელს.

თავისი მრავალმხრივი სამეცნიერო, პედაგოგიური, კლინიკური, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი მოღვაწეობით უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული პედიატრიის განვითარებაში.





October 31st, 2010 was the 85th anniversary of the birth of Professor Ioseb Kvachadze. He was one of the most famous scientists and pediatrics in Georgia.

Ioseb Kvachadze was born on October 31, 1925 in Georgia.

Having finished the school Ioseb Kvachadze entered the medical faculty of Tbilisi Medical Institute. He graduated from above-mentioned institut in 1946. He began practice, when he was twenty-two years old. The range of Kvachadze's scientific interests and number of his research works are really great.

Professor Ioseb Kvachadze became a Candidate of Medical Sciences in 1955. His thesis for a degree of a Candidate of Medical Sciences entitled «Specific of Gastric Secretion Dystrophic Infants» was defended successfully.



Life and activity of professor IOSEB KVACHADZE

The unique clinical material and profound experience of kongenital perinatal infection were generalized by Ioseb Kvachadze in his scientific work for a degree of a Doctor of Medical Sciences entitled «Congenital Toxoplasmosis» and defended in 1970.

Ioseb Kvachadze was elected a Professor at Department of pediatric hospital of Tbilisi State Medical University in 1970. From 1972 to 1993 he was the Head of Department of hospital pediatric of Tbilisi State Medical University.

In 1984 He became the Honoured Scientist of Georgia.

Professor Ioseb Kvachadze had a wide experience in the clinical practice. His clinical and scientific interests included: general pediatrics, collagen diseases, problems of fetus and neonatal intrauterine infections (chlamydiosis, toxoplasmosis), rheumatic diseases, sepsis, metabolic diseases, malabsorption diseases.

During his career as a doctor, lecturer and scientist Ioseb Kvachadze managed to publish 300 reports both in Georgia and abroad.

He is the author of 10 monographs and textbook of pediatrics – «Children Diseases».

Under his guidance 18 researchers have successfully defended their candidate and 1 doctor dissertation.

Professor Ioseb Kvachadze was: President of Georgian Association of pediatrics, Vice-President of Georgian Association of rheumatics, Member of Board Association of Pediatrics, - Member of Russian Association of Pediatrics, Member of editorial board of journals.

He died in 1993.

Ioseb Kvachadze was notable for his selfless attitude to his patients, firmness and goodwill in relation to his students, strong love of life, high professionalism, wit and great erudition not only in pediatric, but also in many fields of medicine. He was a prominent Georgian scientist, the founder of modern pediatric at the XX century in Georgia.





ЖИЗНЬ И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ПРОФЕССОРА ИОСИФА КВАЧАДЗЕ

31 октября 2010 года исполнилось 85 лет со дня рождения Иосифа Махароблевича Квачадзе, одного из выдающихся представителей грузинской педиатрии, в котором органично сочетались качества опытного клинициста, ученого, руководителя и педагога.

И.М. Квачадзе родился в 1925 году. В 1946 г. с отличием окончил Тбилисский государственный медицинский институт.

В 1955 г. И.М. Квачадзе защищает кандидатскую диссертацию, а в 1970 докторскую диссертацию, посвященную проблеме токсоплазмоза. В том же году ему присваивают звание профессора.

С 1972 г. до конца жизни профессор И.М. Квачадзе возглавлял кафедру госпитальной педиатрии Тбилисского государственного медицинского университета.

В 1984 г. получил звание заслуженного деятеля науки.

Научные исследования профессора И.М. Квачадзе посвящены изучению этиологии, иммунологии, иммуногенетики, клиники, диагностики и рационального лечения различных заболеваний у детей.

Наряду с этим профессор И.М. Квачадзе интересовался вопросами ревматизма, диффузных болезней соединительной ткани, сепсиса, патологии неонатального периода, врожденных инфекций и др.

Профессор И.М. Квачадзе автор 300 научных работ, из которых 16 опубликованы за рубежом; в том числе монографии и учебник «Детские болезни», руководство для врачей, педиатров и студентов медвузов.

Под руководством И.М. Квачадзе на кафедре защищено 18 кандидатских и 1 докторская диссертация.

Участник многих международных конгрессов, почетный член

Всемирного общества детских врачей, президент ассоциации педиатров Грузии, член редколлегии медицинских журналов – вот не полный перечень его регалий и заслуг.

Скончался профессор И.М. Квачадзе в 1993 году.

Своей жизнью и деятельностью Профессор И.М. Квачадзе внес значительный вклад в развитие отечественной педиатрии





თსუ-ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის 1981-1992 წლების შემაღვენლობა (თითქმის უცვლელი)



პირველ რიგში სკამებზე სხედან მარცხნიდან: ასისტენტი ლეილა კომშიაშვილი, ასისტენტი ნუნუ შელია, ასისტენტი თამარ წერეთელი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი, კათედრის გამგე პროფესორი იოსებ კვაჭაძე, დოცენტი ქრისტინე ქუთელია, ასისტენტი თამაზ მარინაშვილი, ასისტენტი თინა ბერაძე, ლაბორანტი ნანა გვარჯალაძე.

მეორე რიგში დგანან მარცხნიდან: (მესამე) კლინიკური ორდინატორი ნინო ლაპიაშ-

ვილი, ასისტენტი ჯანა საყვარელიძე, ასისტენტი ნუცა ტატიშვილი, ასისტენტი მარინე ჩიქოვანი, კლინიკური ორდინატორი ცისანა გიორგაძე

მესამე რიგში დგანან მარცხნიდან:

(მესამე) ასისტენტი გიორგი ჩახუნაშვილი, (მეხუთე) ასისტენტი თამაზ გოზალიშვილი, ასპირანტი დავით თელია, ასისტენტი ნუგზარ უბერი, ასპირანტი მარინე გიორგაძე, ლაბორანტი ლია ქვათაძე.



ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია და საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სასიკადულო მეცნიერი და მკურნალი, ქართველი ერის დიდი მოამაგე და მეგობარი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვი-

Georgiam National section of Euro-science, Georgian Academy of Natural Sciences regrets to announce the death of Member of the Academy, famous scientist and legendary medical doctor, the distinguish person of Georgia (US) and

ლი წევრი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ჰენრი კენეტ (კენ) უოკერი და სამდიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, მის ახლობლებსა და მრავალრიცხოვან მოწაფეს.

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია

very close friend of Georgia, Professor Henry Kenneth (Ken) r. Walke

Georgiam National section of Euroscience, Georgian Academy of Natural Sciences

საქართველოში მედიცინის დარგში მინიჭებული და უტინიკებში გახსნილი „ბრწყინვალეების ვარსკვლავი“




2010-11 წელი
(პედიატრის – ირ. ციციშვილის – „ბავშვთა ახალ კლინიკაში“)



2012-13 წელი
(ქირურგის – ლ. ჭაჭიაშვილის – „რკინიგზის
საავადმყოფოში“ – დიღომში)

2013-14 წელი
(ნეიროქირურგის –
შხევსურიანის –
„№1 საავადმყოფოს
ნეიროქირურგიულ
დეპარტამენტში“)



2015 წელს
მედიცინის დარგში
„ბრწყინვალეების
ვარსკვლავი“ მიენიჭა
ღვაწლმოსილ
რევმატოლოგს,
ღირსების ორდენისა
ქალბატონ
ნ. ტატიშვილს

ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის „ოქროს ბუმბულის“, „ოქროს ტანცეტის“ და „ოქროს სტეტოსკოპის“ მფლობელები



ოქროს ლანცეტი



ოქროს
ბუმბული



პროფესორი
ნუზუარ ალემსიძე (2017 წელი)



პროფესორი პაატა
კერვალიშვილი (2018 წელი)



პროფესორი რამაზ კუტუბიძე
(2017 წელი)




ოქროს
სტეტოსკოპი



პროფესორი
ვაჟა გვანცელაძე (2017 წელი)



პროფესორი
ბურამ რცხილაძე (2018 წელი)



პროფესორი ზურაბ პაპაბაძე
(2018 წელი)